140
1962/2
ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

5 მაისი 1962

# საზეიმო

ცხრამეტ მაისს პიონერებს
ზეიმი გვაქვს არნახული.
ჩვენს გულებში მზე კაშკაშებს,
ჩვენს თვალებში — გაზაფხული.

ჩვენს დროშებზე გამარჯვება
მზის სხივებით აწერია.
ჩვენს გულ-მკერდზე ყელსახვევი
დიდი დროშის ნაჭერია.

პიონერთა რიგებს ბევრი
გაუზრდია გულით მტკიცე.
ზოგი ახლა ფოლადს ადნობს,
ზოგი ბავშვებს წიგნებს გვიწერს.

ზოგი გმირი მესაზღვრეა,
საზღვარს ბასრ თვალს არ აშორებს,
ზოგი შრომით თავს ევლება
კომუნიზმის ხარაჩოებს.

ზოგის მკერდზე ვარსკვლავების
საამური კაშკაშია,
ჩვენი ქვეყნის სანაქებო
კოლმეურნე ვაჟკაცია.

მიწას შევძრავთ პატარები,
ისე მძლავრად დავიძახებთ:
— მზად ვართ წმინდად ვატარებდეთ
ლენინელის დიად სახელს!

ი. ნონეშვილი










ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის
XXXVI
წელი

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**
სარედაქციო კოლეგია:
**რ. ჭილაძე, რ. ინანიშვილი, ჯ. კვარაცხელია,
მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი,
გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედ.), **რ. ქორქია,
ე. ყიფიანი, ა. შენგელია, რ. ცუცქირიძე**

# შინაარსი

**ი. ნონეშვილი**—საზეიმო (ლექსი) . . . . . გარეკ. 2
„პიონერი" გილოცავთ . . . . . . . . . 3
**თ. ლაშქარაშვილი**—გილოცავთ თქვენს დიდ დღესასწაულს . . . . . . . . . . . . . . 4
ჩვენც თქვენთან ერთად ვზეიმობთ (**ირ. აბაშიძე, გ. ლეონიძე, ნ. ჯავახიშვილი**) . . . 5
სახელოვანი გზა . . . . . . . . . . . . 6
ჩვენც თქვენთან ერთად ვზეიმობთ (**ვ. პაპინაშვილი, ე. ხარაძე, ნ. კეცხოველი**) . . 8
**ა. შენგელია**—ამ ბედნიერ დღეს (ლექსი) . . . . 8
**ხ. ბერულავა**—სალამი „ნაკადულისაგან" (წერილი) 10
**გ. ტაბიძე**—პიონერო, იყავ ღირსი (ლექსი) . . . . 11
**გ. ქუჩიშვილი**—პიონერები (ლექსი) . . . . . . . 11
**ა. აბაშელი**—საუბარი პიონერებთან (ლექსი) . . . 11
**გ. კიკნაძე**—ჩვენი პირველი პიონერული კოლექტივი (მოგონება) . . . . . . . . . . . . . 12
იცი თუ არა, რომ . . . . . . . . . . . . 13
**მ. ფოცხიშვილი**—სიმღერა პიონერულ კოცონზე (ლექსი) . . . . . . . . . . . . . . . 14
ნორჩი მხატვრები—იუბილეს . . . . . . 16
**ი. ცერცვაძე**—საქართველოს პიონერთა ცხოვრების მემატიანე (წერილი) . . . . . . . . . 18
**ლ. პოდვოისკი**—წითელი ყელსახვევი (მოგონება. თარგმნა შ. ლოლობერიძემ) . . . . . . 19
**ვ. გორგანელი**—თქვენით იხაროს მამულმა (ლექსი) 22
**თ. ჯანგულაშვილი**—პიონერული სიმღერა (ლექსი) 22
**ნ. ბეზარაშვილი**—დაბალი მედოლე (მოთხრობა) . 23
პიონერმა უნდა იცოდეს . . . . . . . 24
**ნ. თარგამაძე**—ერთი დღე პიონერთა სასახლეში (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . 25
**გ. ლაბაძე**—საკისარი (მოთხრობა) . . . . . . 29
მათი სასახელო საქმეები (პიონერული ორწლედის ქრონიკა) . . . . . . . . . . . . 32
თავისუფალ დროს . . . . . . . . გარეკ. . . 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა—**რ. ცუცქირიძისა.**

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების: **გ. გელოვანის, დ. ხახუტაშვილისა** და **რ. ცუცქირიძის** მიერ.

8707

პიონერი
5 მაისი 1961

საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველი პიონერები ესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვს

# პიონერი გილოცავთ!

19 მაისს ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში დიდი ზეიმია — შესრულდა 40 წელი ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის დაარსებიდან.

გასული 40 წლის განმავლობაში, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ბრძნული წინამძღოლობით, ნათელი მომავლისათვის თავდადებული ბრძოლის გზაზე უმაგალითო სასწაულები მოახდინა და განაცვიფრა მთელი მსოფლიო.

ლენინის იდეებით შთაგონებულმა საბჭოთა ადამიანმა, სადაც კი ფეხი დაადგა, ყველგან სიცოცხლე და ბედნიერება დაამკვიდრა; ოდესღაც უკაცრიელი ველები აყვავებულ მხარეებად აქცია, ტრამალ ყამირებზე პურის ჭეჭილი ააბიბინა, უწყლო, უდაბნო ადგილები მწვანით შემოსა, ციებიანი ჭაობები ოქროსფერი ნარინჯის ბაღებადააყვავა.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას, რომელმაც პირისაგან მიწისა აღგავა კაცობრიობის უბოროტესი მტერი — პირსისხლიანი ფაშიზმი, მაღლა აქვს აღმართული ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლის დროშა, ძირშივე ააშკარავებს და ფუშავს იმპერიალისტთა ყოველგვარ ცდებს — ატომური ომის უფსკრულში გადაჩეხონ ჩვენი პლანეტა.

საბჭოთა ქვეყანა ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სახელმწიფოა მთელ მსოფლიოში, თავისი მაღალგანვითარებული მრეწველობითა და სოციალისტური სოფლის მეურნეობით. საკმარისია ითქვას, რომ პირველად საბჭოთა ხელოვნურმა თანამგზავრმა შემოუარა დედამიწას, საბჭოთა რაკეტებმა, პირველებმა მიიტანეს ვიმპელი მთვარეზე, ფოტოფირზე გადაიღეს ამ ციური მნათობის უხილავი მხარე... საბჭოთა ადამიანებმა — იური გაგარინმა და გერმანე ტიტოვმა პირველებმა გაკაფეს გზა კოსმოსისაკენ... ყოველივე ეს ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ჭეშმარიტად ბრწყინვალე გამარჯვებაა.

იყო რა ლენინის ანდერძის უსაზღვროდ ერთგული, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში იწრთობოდა და იზრდებოდა ნორჩ ლენინელთა მრავალმილიონიანი არმია. პიონერები ცდილობდნენ ყველგან და ყველაფერში დახმარებოდნენ უფროსებს, ყოველმხრივ გამოსდგომოდნენ საყვარელ სამშობლოს. ამისათვის ისინი იძენდნენ ცოდნას, სწავლობდნენ ბეჯითად.

პიონერთა ორგანიზაცია სამართლიანად ამაყობს თავისი აღზრდილებით. ჩვენს გამოჩენილ ადამიანთა შორის ათასობით არიან ისეთნი, რომლებიც ბავშვობაში წითელ ყელსახვევს ატარებდნენ; პიონერულ რაზმებში სწავლობდნენ ისინი სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს, აქ იღებდნენ პირველ კომუნისტურ წრთობას, აქ იძენდნენ პატიოსნების, სიმამაცის, მუყაითობის ძვირფას თვისებებს. ამ თვისებების მეოხებით ხდებოდნენ ისინი ჯერ ნამდვილი კომკავშირელები, ხოლო შემდეგ — ნამდვილი კომუნისტები.

მშვიდობიანი შრომისა თუ სამამულო ომის წლებში, პიონერთა ორგანიზაციას სათანადო წვლილი შეჰქონდა სამშობლო ქვეყნის ძლიერებისა და აყვავების საქმეში. პიონერული საქმეები, ერთად აღებულნი, საბოლოოდ ნაყოფიერ შედეგს იღებდა, ისევე, როგორც პატარა ნაკადულები, ერთმანეთთან შეერთებით, წყალუხვ მდინარედ იქცევიან.

პიონერთა ორგანიზაციის სახელოვან იუბილეს, მოძმე რესპუბლიკების პიონერებთან ერთად, სწავლასა და შრომაში მოპოვებული საამაყო მაჩვენებლებით შეხვდნენ საქართველოს ნორჩი ლენინელებიც. ქართველი პიონერები დაუღალავად იბრძვიან მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცედ დაუფლებისათვის, ორწლედით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის. ისინი აქტიურად შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში, ბაღებსა და ვენახებში, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, მწვანე ნარგავებით ამშვენებენ ქალაქებსა და სოფლებს, აგროვებენ და სახელმწიფოს აბარებენ ათასობით ტონა ლითონის ჯართს...

მშობლიური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ იმისათვის, რომ თქვენ, საბჭოთა პიონერებს, გქონდეთ ნათელი და ბედნიერი ბავშვობა, აღიზარდოთ გულმართალ, უშიშარ, შრომისმოყვარე, განათლებულ ადამიანებად, კომუნიზმის ღირსეულ მოქალაქეებად.

თქვენს განკარგულებაშია მრავალი სასახლე და სახლი, სპორტული მოედნები და ნაგებობანი, თეატრები, ბანაკები, აგარაკები... გაქვთ საჭირო პირობები მხატვრული შემოქმედების განვითარებისათვის, მუსიკაში, ფერწერასა და ქანდაკებაში მეცადინეობისათვის. კომუნიზმის პროგრამით დასახულია, უახლოეს მომავალში კიდევ უფრო წარმტაცი და შინაარსიანი გახდეს თქვენი ცხოვრება.

სწავლასა და შრომაში ახალ-ახალი მიღწევებით უპასუხეთ პარტიისა და მთავრობის, კომკავშირის, მთელი საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ზრუნვას თქვენი ბედნიერი მომავლისათვის.

ღრმად შეითვისეთ და შეისისხლხორცეთ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ზნეობრივი პრინციპები. იყავით კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელნი, გმირული კომკავშირის ღირსეული ცვლა!

მუდამ გახსოვდეთ და განახორციელეთ დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ანდერძი, კვლავ ბოლომდე ერთგული იყავით თქვენი საზეიმო ფიცის!

ნორჩო პიონერებო! გილოცავთ თქვენი ორგანიზაციის დაარსების 40 წლისთავს და გისურვებთ დიდ წარმატებებს სწავლასა და თქვენს ყოველდღიურ სასარგებლო საქმიანობაში!

**კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!**



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სახელოვანი გზა

ორმოცდასამი წლის წინათ, 1919 წლის 25 მაისს, სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში, წითელ მოედანზე შედგა მოსკოვის მუშა ახალგაზრდობის პარადი. პარადმა მთელ ქვეყანას ამცნო მუშა ახალგაზრდობის ერთსულოვანი გადაწყვეტილება — უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაეცვა საბჭოთა ხელისუფლება თეთრგვარდიელებისა და უცხოელი ინტერვენტებისაგან.

ამ დღეს წითელ მოედანზე შეიკრიბნენ მოსკოველი ბავშვებიც. ისინი თავიანთ რაზმებს „ნორჩ კომუნისტთა რაზმებს“ უწოდებდნენ.

ბავშვებს დიდი სიხარულით შეხვდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

მიმართავდა რა მოსკოველ ბავშვებს, ხოლო მათი სახით ჩვენი ქვეყნის ყველა ბავშვს, ლენინმა თქვა: „ბავშვებიც, მოზარდი პროლეტარები, უნდა დაეხმარონ რევოლუციას!“. სწორედ მაშინ წამოაყენა ვ. ი. ლენინმა დიადი იდეა — შექმნილიყო ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია.

პირველი პიონერული რაზმი ჩამოყალიბდა 1922 წლის 13 თებერვალს, მოსკოვში. ამ დღეს კომუნისტებმა და კომკავშირელებმა პირველ პიონერებს წითელი ყელსახვევები გაუკეთეს.

პიონერული რაზმი უფროსებს ეხმარებოდა ახალი ცხოვრების შექმნაში, რაზმის წევრები ზრუნავდნენ დაღუპულ წითელარმიელთა ოჯახებზე, ამეცადინებდნენ წერა-კითხვის უცოდინარებს, აწყობდნენ პატარებისათვის გართობა-თამაშობებს.

1922 წლის მაისში მოწვეულ იქნა სრულიად რუსეთის კომკავშირის კონფერენცია. გაითვალისწინა რა ბავშვთა მისწრაფება ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღებისა და აგრეთვე, პირველი პიონერული რაზმის გამოცდილება, კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება — შექმნილიყო პიონერული ორგანიზაციები სამშობლოს ყოველ კუთხეში. ამრიგად, ეს დღე — 1922 წლის 19 მაისი — გახდა საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღე.

1924 წლის იანვარში მსოფლიო პროლეტარიატს მძიმე მწუხარება დაატყდა თავს: გარდაიცვალა მშრომელთა დიდი ბელადი და მასწავლებელი, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. საერთო-სახალხო გლოვის დღეებში მრავალი მოწინავე მუშა და გლეხი შევიდა კომუნისტურ პარტიაში, ახალგაზრდობა კომკავშირის რიგებში შედიოდა, ხოლო ბავშვები — პიონერულ ორგანიზაციაში.

ეს იყო ლენინური გაწვევა!

ნიშნად იმისა, რომ კომკავშირი ვალდებულებას იღებდა, — პიონერთა რიგებში აღეზარდა ლენინის ანდერძის ერთგული თაობა, 1924 წლის 23 იანვარს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციისათვის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელის მინიჭების შესახებ.

ამ დადგენილების მიღებიდან ოთხი თვის თავზე, 23 მაისს, 10 ათასი მოსკოველი პიონერი, რაზმებად დაწყობილი, სიმღერით გაემართა წითელი მოედნისაკენ. აქ მათ, ბელადის კუბოსთან, კომუნისტური პარტიის XIII ყრილობის დელეგატთა წინაშე, ყველა საბჭოთა პიონერის სახელით მიიღეს ლენინის სახელი და ილიჩის ანდერძისადმი სამარადისო ერთგულების ფიცი მისცეს.

დიდი ლენინის სახელის მინიჭებამ აღაფრთოვანა და განამტკიცა ნორჩ პიონერთა რიგები, მჭიდროდ დარაზმა სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე საბრძოლველად.

პიონერული ორგანიზაციის არსებობის პირველი წლები იყო ის პერიოდი, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, თავდაუზოგავ, ტიტანურ შრომას ეწეოდნენ პირველი მსოფლიო ომითა და სამოქალაქო ბრძოლებით გაპარტახებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღსადგენად. ახალგაზრდა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს უდიდესი ეკონომიური სიძნელეების გადალახვა უხდებოდა, რათა შეენარჩუნებინა თავისი არსებობა. მართალია, იმ დროისათვის კონტრრევოლუციური ძალები დათრგუნული იყო და უცხოელი ინტერვენტებიც — გაცამტვერებული, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ მრავლად იყო კლასობრივი მტერი. დამხობილი ექსპლოატატორული კლასების ნაშთები, რომლებიც თავიანთი ძალაუფლების აღდგენაზე ოცნებობდნენ, გულმოდგინედ ინილბებოდნენ და ყოველნაირი ვერაგული ხერხებით ცდილობდნენ შეეფერხებინათ ახალი, თავისუფალი ცხოვრების, სოციალიზმის მშენებლობა.

ასეთ მძიმე ვითარებაში, კომუნისტებსა და კომკავშირელებს, მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლებს გვერდით ედგნენ და დიდ დახმარებას უწევდნენ ნორჩი პიონერები. წითელყელსახვევიანი ბიჭები და გოგონები სახელმწიფოსათვის აგროვებდნენ რკინის ჯართს, აგროვებდნენ, აგრეთვე, თანხებს დამშეული მოსახლეობის დასახმარებლად, უდედმამო ბავშვთა თავშესაფრების ასაშენებლად, თვითმფრინავთა ასაგებად, ტრაქტორების დასამზადებლად, ეუფლებოდნენ სხვადასხვა ხელობას, იბრძოდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. არა ერთი პიონერი დაეხმარა უფრო-





ეროვნული ბიბლიოთეკა

სებს შეხიდბული მტრების, სახალხო დოვლათის გამხადგურებელ-გამნიავებელთა გამოაშკარავებაში.

სამუდამო დიდებით არის მოსილი ურალელი პიონერის პავლიკ მოროზოვის სახელი. 14 წლის ყმაწვილმა გაბედულად ამხილა მის მშობლიურ სოფელში მოკალათებული მტრების — კულაკების ვერაგობა. გაბოროტებულმა მტრებმა გმირი პიონერი წამებით მოჰკლეს. უკვდავი სახელი დატოვა კულაკების ხელითვე მოკლულმა კოლესნიკოვიოელმა პიონერმა კოლია მიაგოტინმა, რომელმაც საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლები გამოააშკარავა.

სამშობლოსადმი, მშობელი ხალხისადმი პიონერთა უსაზღვრო სიყვარული მთელი სისრულით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში. ნორჩი პატრიოტები იპარებოდნენ მტრის განლაგებებში, საჭირო ცნობების შესაგროვებლად, მიხოხავდნენ პარტიზანულ ბილიკებზე, საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ მშობლიურ ქალაქს, სოფელსა თუ დაბას და უბადლო გმირობის მაგალითს აჩვენებდნენ. ჰიტლერელ დამპყრობლებთან ბრძოლაში მამაცურად დაიღუპნენ ტულელი პიონერი საშა ჩეკალინი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ქერჩელი პიონერი ვალოდია დუბინინი, ნიკოლაევსკელი პიონერები შურა კობერი და ვიტია ხომენკო და სხვა მრავალი ნორჩი გმირი.

ათეულ ათასობით პიონერი ზურგში, უფროსების მხარდამხარ, დაუღალავი შრომით ჰედდა საძულველ მტერზე გამარჯვებას. ისინი აგროვებდნენ რკინის ჯართს, სამკურნალო ბალახებსა და ნაყოფებს, თბილ ტანსაცმელს ფრონტელებისათვის, მუშაობდნენ საკოლმეურნეო მინდვრებში... ომის წლებსა და შემდგომ პერიოდში პიონერთა შორის დიდი გაქანება ჰპოვა თემურელების მოძრაობამ დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების, ინვალიდებისა და ღრმად მოხუცებულთა დასახმარებლად.

დამთავრდა ომი. გამარჯვებული საბჭოთა ხალხი შეუდგა ფაშისტ ავაზაკთა მიერ დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენას, ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. გაჩაღდა მშვიდობიანი მშენებლობა ჩვენს ვრცელ სამშობლოში. ახალი ძალით გაიშალა პიონერული საქმიანობაც.

1954 წელს, კომკავშირის XII ყრილობამ განიხილა საკითხი „ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ", და დასახა პიონერული ორგანიზაციის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების გზები. ყრილობის დადგენილებით, კომკავშირის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა დააარსა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის საპატიო წიგნი. ამ წიგნში შეიტანება ისეთ პიონერთა სახელები, რომელთა საქმეებიც სამუდამო მაგალითს წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის ყველა პიონერ-მოსწავლისათვის, აგრეთვე, საუკეთესო პიონერხელმძღვანელები, საუკეთესო პიონერული რაზმეულები. საპატიო წიგნში პირველ რიგში ჩაიწერა გმირ პიონერთა სახელები. კაცობრიობის ისტორიაში სწორუპოვარი გმირობისათვის, პიონერთა ორგანიზაციის საპატიო წიგნში შეტანილ იქნა მსოფლიოში პირველი საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი იური გაგარინი.

პიონერთა ორგანიზაციის უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1958 წლის 30 ივლისს კომკავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დამტკიცებულ პიონერულ საფეხურებს. პიონერული საფეხურები მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თითოეული პიონერისათვის სავალდებულო ჩვევების განმტკიცებაში, სწავლისა და შრომისადმი სიყვარულის გაღვივების საქმეში.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა მიიღო ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი გრანდიოზული შვიდწლიანი გეგმა და უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგა მის განხორციელებას, პიონერული ორგანიზაციის საქმიანობაც გაცილებით უფრო ნაყოფიერი გახდა. მრავალი რაზმი და რაზმეული ჩაება „შვიდწლედის თანამგზავრის" საპატიო სახელის მოსაპოვებლად გაჩაღებულ ბრძოლაში. „შვიდწლედის თანამგზავრი" რაზმი ან რაზმეული აკადემიური მოსწრებითა და სასარგებლო საზოგადოებრივი საქმიანობით ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოს. ამჟამად უკვე ათასობით რაზმი და რაზმეული ატარებს „შვიდწლედის თანამგზავრის" საამაყო სახელს.

1960 წლის 1 ოქტომბერს სტარტი აიღო პიონერულმა ორწლედმა. ორწლედის პირველი წლის შედეგებმა აჩვენეს, თუ რა პირნათლად ასრულებენ ნორჩი ლენინელები ორწლედისათვის ნაკისრ ვალდებულებებს სწავლასა და შრომაში. უკვე მრავალი სკოლის თავზე კიაფობს ლალისფერი ვარსკვლავი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სკოლების ყველა პიონერ-მოსწავლე აკადემიურად ასწრებს და აქვს მაღალი შრომითი მაჩვენებლები.

1961 წელი საბჭოთა ხალხის ისტორიაში შევა, როგორც უდიდესი ისტორიული მოვლენის წელი. 1961 წლის შემოდგომაზე პარტიის XXII ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა. მომავალ ოც წელიწადში უმაგალითოდ გაიზრდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, საბჭოთა ტექნიკა მიაღწევს ისეთ მაღალ დონეს, შეიქმნება პროდუქტების ისეთი სიუხვე, რაც საშუალებას მოგვცემს შემდეგში განვახორციელოთ კომუნიზმის პრინციპი: „თითოეულისაგან თავისი უნარის მიხედვით, თითოეულს — თავისი მოთხოვნილების მიხედვით". საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მკლავებდაკაპიწებული შეუდგა ამ დიადი მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლას.

უფროსებთან ერთად, კომუნიზმის გამარჯვების საქმეში, ბეჯითი სწავლითა და შრომით, შესამჩნევი წვლილი შეაქვთ პიონერ-მოსწავლეებს.

თავისი არსებობის 40 წლის მანძილზე ნორჩ პიონერთა ორგანიზაციამ სახელოვანი გზა განვლო. წინ კიდევ უფრო ნათელი ჰორიზონტია გადაშლილი.

მშობლიური პარტიისა და მთავრობის, ლენინური კომკავშირის ყოველდღიური მზრუნველობით გარემოცული ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია მომავალშიც ღირსეულად ატარებს დიდი ბელადის სახელს, უფრო მაღლა ასწევს თავის წითელ დროშას და მტკიცედ ივლის სულ წინ, ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.





თამარ ლაშქარაშვილი,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

# გილოცავთ თქვენს დიდ დღესასწაულს!



ჩვენი ქვეყნის ნორჩ პიონერთა დიდი დღესასწაული — ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავი განსაკუთრებულ ვითარებაში ტარდება. მთელი საბჭოთა ხალხი, პარტიის ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული და აღფრთოვანებული, შეუდგა კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებას.

პარტიის ახალი პროგრამა გამსჭვალულია ადამიანზე ზრუნვით, მშვიდობის და ხალხთა ძმობის იდეებით. მისი დევიზია — ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის.

„საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა კომუნიზმში იცხოვრებს!“ — ეს გულის სიღრმეში ჩამწვდომი სიტყვები გაისმის დღეს სხვადასხვა ენაზე ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში.

კომუნიზმი! კაცობრიობის ნათელი ოცნება! ამ საუკუნებრივ ოცნებას საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, სინამდვილედ აქცევს.

პარტიის XXII ყრილობამ ამ დიდი მიზნის განხორციელების კონკრეტული გზები დასახა. უახლოესი ორი ათეული წლის განმავლობაში უნდა შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ამისათვის, საჭიროა ახალი ქარხნების, ელექტროსადგურების, არხების, სკოლების სახლებისა და ბევრი სხვა რამის კოლოსალური მშენებლობა.

წარმატებით რომ შესრულდეს პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული პროგრამა, თითოეულმა ჩვენთაგანმა, დიდმა და პატარამ, კომუნისტურად უნდა იცხოვროს, კომუნისტურად უნდა ისწავლოს და კომუნისტურად იშრომოს.

აი ამიტომ XXII ყრილობაზე ძალიან დიდი ადგილი დაეთმო ადამიანის აღზრდის საკითხებს – მის მორალურ სახეს. პარტია თავის მთავარ ამოცანად ისახავს, ისე აღზარდოს ყველა ადამიანი, რომ ისინი კომუნისტური საზოგადოების ღირსნი, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლნი იყვნენ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კომკავშირელების, პიონერების, მოსწავლეების აღზრდას.

ჩვენი ბავშვები და მოზარდები რომ ნამდვილი გმირები, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული, განათლებული, შრომისმოყვარე, მამაცი და ფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანები გამოვიდნენ, ამისთვის პარტიის ახალი პროგრამა ითვალისწინებს სკოლების მშენებლობის გაფართოებას. სკოლებში მოწყობილი იქნება პირველხარისხოვანი ლაბორატორიები და სახელოსნოები, სასპორტო დარბაზები; სკოლებში შემოღებული იქნება უფასო კვება; აიგება ახალი პიონერული ბანაკები, ნორჩ ნატურალისტთა სადგურები... ყველაფერს რა ჩამოთვლის!

უკვე პირველ ათწლეულში განხორციელდება თერთმეტწლიანი განათლება სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისათვის.

ბეჯითი სწავლით და შრომით უპასუხეთ მშობლიური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ამ დიდ ზრუნვას.

თითოეული თქვენთაგანი უნდა ემზადებოდეს იმისათვის, რომ ნამდვილი ადამიანი, კომუნიზმის აქტიური მშენებელი გამოვიდეს. კიდევაც გამოხვალთ, თუ გეყვარებათ სამშობლო, ბეჯითად ისწავლით და იშრომებთ, თუ კარგი ამხანაგები, პატიოსანი და სამართლიანი ადამიანები იქნებით.

ძვირფასო პიონერებო! მხურვალედ გილოცავთ თქვენს დიდ დღესასწაულს და შემდგომ წარმატებებს გისურვებთ სწავლასა და შრომაში!

თ. ლაშქ

# ჩვენც თქვენთან ერთად ვზეიმობთ



ჩვენი შრომა, ჩვენი ბრძოლა,
ჩვენი ჩანგის სიმთა ჟღერა,
თქვენთვის გვინდა მომავალნო,
თქვენი ვარდის გასაშლელად.

ვით ჩვენ ვიბრძვით მამაცურად,
თქვენ აშენეთ ისე მტკიცედ,
და ის დროშა აწვით მაღლა,
რომელიც ჩვენ დავიფიცეთ.



პატივცემულო რედაქცია! ნება მომეცით, თქვენი ჟურნალის საშუალებით გადავცე მოლოცვა და გულითადი სალამი თქვენს მრავალრიცხოვან მკითხველებს, საბჭოთა საქართველოს პიონერებს, ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის შექმნის 40 წლისთავზე.

სამწუხაროდ, მე არ ვყოფილვარ პიონერი, რადგან ჩემმა ბავშვობამ წინ გაუსწრო პიონერთა ორგანიზაციის დაარსებას.

ბავშვობის წლები ყოველთვის ტკბილად მოსაგონარია, საკუთარი განცდები და შთაბეჭდილებები ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი გვეჩვენება, მაგრამ, როდესაც ვკითხულობ პიონერთა რაზმების მუშაობაზე, იმ საინტერესო და შინაარსიან ექსკურსიებზე, დასვენებებსა თუ გართობაზე, რომელსაც პიონერები აწყობენ, ძალაუნებურად მშურს, რომ მე არ დამინთია პიონერული კოცონი. ამავე დროს, მიხარია და ვამაყობ, რომ ჩვენი ბავშვები ჩვენზე უფრო კარგად იზრდებიან, ჩვენზე უფრო შეგნებულად და ორგანიზებულად ემზადებიან მოზრდილებს და, მაშასადამე, უფრო კარგ ადამიანებად აღიზრდებიან.

კიდევ უფრო დიდ წარმატებებსა და გამარჯვებებს ვუსურვებ ჩვენს ნორჩ თაობას.

ნ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა ქალების კომიტეტის წევრი.



შენი ბავშვობა არის სიამე,
არის სიმღერა და სიხარული;
ტკბილმშობლიური, ალერსიანი
თავს დაგტრიალებს შენი მამული.

შენი ბავშვობა არის სიამე,
სევდის გაქრობა, ცრემლის დაშრობა,
სწავლა, მზადება ხალისიანი, —
აი, რა არის შენი ბავშვობა.

ი.

[illegible]

# ႢႨႪႭႺႠႥႧ





შესანიშნავი დღესასწაული მოვიდა — პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე, მისი ორმოცი წლისთავი.

ჩვენი პიონერები გმირული საქმეებით აღსავსე დროში ცხოვრობენ, როცა ახალგაზრდობა სულ უფრო და უფრო გაბედულად ეუფლება მეცნიერებასა და ტექნიკას. მეცნიერება კი გზას უხსნის საზოგადოების წინსვლას, წარმტაც პერსპექტივებს გვიხატავს. ყველა აღტაცებაში მოჰყავს საბჭოური ხელოვნური თანამგზავრისა და კოსმოსური ხომალდების სრბოლას სივრცეში. ფანტასტურად გვეჩვენება ადამიანის მიერ შექმნილი გამომთვლელი მანქანები, მის მიერ მიგნებული ატომური ენერგიის უშრეტი წყაროები! როგორ შეამცირა მანძილები ავიაციამ! რა რიგ დიდი გამოყენება აქვს ელექტრონობას, რადიოს, ტელეხედვას. ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში ცოდნასა და მეცნიერებას სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ყველაფერი ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება, პიონერებს მოუწოდებს სწავლისაკენ, ჰგვრის კიდეც სწავლის წყურვილს.

ამთავითვე მოემზადეთ თქვენც გმირული საქმეებისათვის, სამშობლოს თქვენი წვლილიც დასჭირდება. თქვენს შორის არიან მომავალი მეცნიერები, ინჟინრები, მშენებლები, ხელოვანნი; თქვენს შორის არიან მომავალი კოსმონავტები, კოსმოსის სივრცეების მკვლევარნი, კოსმოსის კოლუმბები და მაგელანები.

მაგრამ ჯერ უნდა ისწავლოთ. ისწავლოთ შეუპოვრად და ხალისით; უნდა ხარბად ეწაფებოდეთ წიგნს, ცოდნას. ცოდნის წყურვილი, შრომის სიყვარული, მშობლიური ხალხის სასარგებლოდ თავდადებული შრომისათვის მზადყოფნა—თქვენი ხასიათის განუყრელი თვისებებია, ნორჩო პიონერებო!

თქვენ გეკუთვნით შესანიშნავი მომავალი, რომლის მშენებელნი თქვენვე იქნებით.

მოგილოცავთ და გისურვებთ გამარჯვებას ჯერ სწავლაში და შემდეგ გმირული საქმეების შესრულებაში!

ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲮᲐᲠᲐᲫᲔ,
აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი





## ამ ბედნიერ დღეს

ამ ზეიმის დღეს, თქვენთან მეც მინდა,
უფრო ხმამაღლა წარმოვთქვა: «მზად ვართ!»
ეს ფიცის სიტყვა,—წმიდათა-წმიდა,
რომელმაც ჩემი ოცნებაც ზარდა!
თქვენ, ამ დღეებში ფეხადგმულები,
სულ სხვა დროს ნახავთ, ჩემო ბავშვებო!
თქვენ გელით გზები და სადგურები
მთვარის გარშემო, მარსის გარშემო!
გელით ცხოვრება ზღაპრად ნაქები,
თქვენი მამების ბრძოლით ნაგები,
ახლა პატარა ამხანაგები,
ხართ ხვალის დიდი მოქალაქენი!..

რა გვიბრძოლია, რომ ეს ქვეყანა,
ამ სინათლეზე გამოგვეყვანა!
დაგვიქცევია სისხლი რამდენი,
რომ მოგვეტანა დღე დღევანდელი!
და, ისევ შევტრფი და ვეფერები
დროს, ჩვენც რომ გვერქვა პიონერები,
წმინდად ვინახავ დღემდე ამ სახელს,
წმინდად ვინახავ პირველ ყელსახვევს.
ამიტომ, თქვენთან მინდა ვთქვა: «მზად ვართ!»
იგი მაგონებს ბავშვობის ხმაურს...
მომავალ დღეთა შემქმნელთ და მხატვართ,
გილოცავთ ამ დღეს, ამ დღესასწაულს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩემო პატარა მეგობრებო! ნება მომეცით, სულითა და გულით მოგესალმოთ და მოგილოცოთ თქვენი დღესასწაული-პიონერული ორგანიზაციის არსებობის 40 წლისთავი.

დღევანდელ დღეს მრავალი თქვენგანი ახალ-ახალი წარმატებებით შეხვდა. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ხომ არიან ისეთებიც, რომლებსაც გარკვეული ხარვეზები აქვთ? დაეხმარეთ მათ. თქვენი, საბჭოთა სკოლის მოსწავლეებისა და პიონერების ვალია, ისწავლოთ ბეჯითად, მთელი მონდომებით, რათა გაგიადვილდეთ მეცნიერებათა მიღწევების დაუფლება და გახდეთ კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

ჩვენი ხალხის სახელოვანმა შვილებმა, რომლებიც ნაყოფიერად შრომობენ მეცნიერებისა და ტექნიკის ამათუიმ დარგში, თქვენსავით სკოლის კედლებში ჩაუყარეს საფუძველი იმ დიდ ცოდნას, რომელიც მათ დიდ დახმარებას უწევს დღეს ნაყოფიერ შრომაში, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დარგში.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის გამოხატულებაა ის, რომ თქვენ, ნორჩ პიონერებსა და მოსწავლეებს, შექმნილი გაქვთ ყოველგვარი პირობა, რათა ბავშვობიდანვე დაუკავშიროთ თქვენი თეორიული ცოდნა პრაქტიკას და გამოიმუშაოთ შრომითი ჩვევები, რომლებიც საფუძველს ჩაუყრის თქვენს მომავალს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს რიგებში მრავლად არიან კოსმოსის მომავალი დამპყრობნი, მომავალი მეცნიერები და კვალიფიციური მუშები, რომლებიც კაცობრიობას გაუკაფავენ გზას კომუნიზმის დიადი მწვერვალებისაკენ.

მეც ვიყავი თქვენსავით პიონერი, მიხაროდა პიონერული დავალებების შესრულება, ლაშქრობებში სიარული. არასოდეს მავიწყდება პიონერული კოცონები და ბანაკები თქვენმა ორგანიზაციამ შემაყვარა შრომა, შრომის სიყვარულმა კი თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში მომიყვანა, აქ ზეინკლობა შევისწავლე და დღემდე ამ პროფესიისათვის არ მიღალატნია.

წლევანდელ 19 მაისს მეც სიხარულით შევხვდი და თქვენთან ერთად ვზეიმობ თქვენს დიდ დღესასწაულს.

ვ. პაპინაშვილი,

კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი,
საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



პიონერთა ორგანიზაციას 40 წელი შეუსრულდა... რა დიდი ხანი გასულა! რამდენი შესანიშნავი ადამიანი, უებრო მოღვაწე, თავდადებული მშენებელი ჩვენი ქვეყნისა გამოიზარდა ამ ხნის განმავლობაში პიონერთა ორგანიზაციიდან!

პიონერთა ორგანიზაცია ხომ ჩვენი ნორჩი თაობის ორგანიზაციაა, ნორჩისა, და მაშასადამე, იგი სპეტაკთა, გულით წმინდათა კრებულია და მე მინდა გისურვოთ რომ ცხოვრებაშიც, მაშინ, როდესაც დავაჟკაცდებით, იყვეთ ასეთივე გულით წმინდა და სპეტაკნი, ალალმართალნი, პირდაპირნი, სამშობლოსა და მშობლიური ხალხის მოსიყვარულენი, ყოველივე კეთილშობილურისა და სასარგებლო საქმიანობისათვის თავდადებულნი, ჩვენი დიდი ცხოვრების მადლიანი მშენებელნი, სიხარულით და სიყვარულით გულსავსენი.

ნიკო კეცხოველი
აკადემიკოსი

პიონერებო და მოსწავლეებო!
ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას,
გიყვარდეთ და პატივი ეცით
შრომას! ემზადეთ გახდეთ
ლენინის საქმისათვის,
კომუნიზმისათვის აქტიური
მებრძოლები!

ჩვენც თქვენთან ერთად
ვზეიმობთ

# სალამი „ნაკადულისაგან"



ჩემო უმცროსო მეგობარო! ორმოცი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაიბადა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაცია. რა თქმა უნდა, შენ ამაყობ იმით, რომ შენც ეკუთვნი კომუნიზმის მომავალ მშენებელთა სახელოვან არმიას, რომ შენც ატარებ წითელ ყელსახვევს, რომ შენც გეძახიან ნორჩ ლენინელს.

გამომცემლობა «ნაკადული» სულითა და გულით გილოცავს ამ დიდ დღესასწაულს, გიძღვნის გულთბილ სალამსა და კეთილ სურვილებს.

შენთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადებოდა პიონერთა ორგანიზაციის ორმოცი წლისთავისათვის. არც «ნაკადულს» დავიწყებია ეს შესანიშნავი თარიღი: სწორედ ამ მზადების დღეებში შეიქმნა «პიონერის ბიბლიოთეკა». ბიბლიოთეკის პირველი მერცხალი იყო შენი საყვარელი გაზეთის «ნორჩი ლენინელის» რედაქტორის ვანო ცერცვაძის წიგნი «აქედან იწყება შენი გზა». ამას მოჰყვა ბევრი სხვა წიგნი, რომელთაც უთუოდ წაიკითხავდი. ახლახან დავიწყეთ ყოველწლიური ალმანახის «კოცონის» გამოცემა, რომელიც მთლიანად შენი და შენი თანატოლებისათვის იქნება განკუთვნილი.

ქართველი მწერლები, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის წარმომადგენლები, მთელი გატაცებით წერენ წიგნებს, სადაც პიონერთა ცხოვრება, სწავლა და შრომაა დახატული. ჩვენ გამოვეცით ბევრი მხატვრული ნაწარმოები, სადაც მრავლად იპოვნი თქვენს საყვარელ გმირებს. ამ გმირებს უნდა მიბაძო შენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგრამ განა არ ვიცით, რომ შენცა და შენს მეგობრებსაც ჯერ კიდევ ცოტა გაქვთ სათქვენო მოთხრობები, აი, ისეთი, დიდი რუსი საბავშვო მწერალი, არკადი გაიდარი რომ ქმნიდა საბჭოთა ბავშვებისათვის. სწორედ ამიტომ, «ნაკადულმა» ამ ერთი წლის წინათ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო საბავშვო პროზაულ ნაწარმოებზე. კონკურსი წარმატებით დამთავრდა, მან ბევრი საინტერესო ნაწარმოები გამოავლინა. ეს, რა თქმა უნდა, გაგახარებს: მალე, სულ მალე, შენს ბიბლიოთეკას რამდენიმე ახალი კარგი წიგნი შეემატება! ხშირად ეწვიე წიგნის მაღაზიებს: თვალყური ადევნე და შეიძინე კონკურსში გამარჯვებული წიგნები.

გამომცემლობა «ნაკადული» არა მარტო შენთვის უშვებს წიგნებს, იგი ასევე მონდომებით ზრუნავს შენი უმცროსი და უფროსი და-ძმებისათვის. წელს იგი გულუხვად გაუმასპინძლდება სკოლამდელებს და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს,—მათთვის ბევრი ფერადი წიგნი გამოვა. იმედი გვაქვს, შენს პატარა მეგობრებს ხმამაღლა წაუკითხავ ამ წიგნებს. არა მგონია, განსაკუთრებით არ მოგეწონოს ქართული ხალხური ზღაპრების სერია «იყო და არა იყო რა». ძალიან კარგი იქნება მოგვწერო შენი შთაბეჭდილებანი, შენი აზრები თითოეული წაკითხული წიგნის შესახებ.

შენც და შენს უფროსებსაც უთუოდ გამოგადგებათ საბავშვო ენციკლოპედია. საქართველოში არც ერთი სახის ენციკლოპედია ჯერ არ გამოცემულა. ეს მეტად ძნელი და რთული საქმეა, მაგრამ შენთვის შრომა არ გვეზარება. არ დაგავიწყდეს, რომ ენციკლოპედია მაინცდამაინც დიდი ტირაჟით არ გამოდის, დროზე მოაწერე ხელი, თორემ მერე ინანებ, გული დაგწყდება, მაგრამ გვიანღა იქნება!

წელსაც და შემდეგშიც გაგრძელდება სათავგადასავლო ნაწარმოებთა ბიბლიოთეკის ახალი ტომების გამოცემა. რატომ გეღიმება? ვიცი, გიყვარს სათავგადასვლო წიგნები და „ნაკადულიც" ცდილობს დააკმაყოფილოს შენი სულიერი მოთხოვნილება.

კიდევ რა გითხრა? ორასზე მეტი სახელწოდების წიგნს მოგართმევთ, ჩემო ნორჩო მეგობარო. ყველას აქ ვერ ჩამოვთვლი. ან რა საჭიროა. უკეთესი არ არის, მოულოდნელად გაგახაროთ საინტერესო და შინაარსიანი წიგნებით?!

მწერლებთან ერთად მრავალი კარგი ნობათი მოგიმზადეს ჩვენმა მეცნიერებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, სპორტსმენებმა, რომლებიც ჩვენს გამომცემლობაში თანამშრომლობენ. გამომცემლობის მუშაკებთან ერთად, მათ მთხოვეს ჟურნალ «პიონერის" საშუალებით სათითაოდ მივესალმო საქართველოს ყველა პიონერს და ვუსურვო მათ წარმატება სწავლასა და შრომაში, ჯანმრთელობა და ბედნიერება პირად ცხოვრებაში, ყველა მათგანის ოჯახის სიხარული და კეთილდღეობა. მეც სიამოვნებით ვასრულებ ამ დავალებას.

ხუტა ბერულავა,
გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის თავმჯდომარე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





# თქვენ გიძღვნიან ამ სტრიქონებს!

## პიონერო, იყავ ღირსი

პიონერო, იყავ ღირსი
ახალ ყოფა-ცხოვრების,
შენ ხანა არ გაგივლია
ძველი გამათხოვრების.
მასამ აბობოქრებულმა
ის ბორკილი დალეწა,
რომ ნისლებს არ დაებურა
შენი გამჭვირვალე ცა.
ბრძოლამ ძველი ზამთრის სუსხი
დაუნდობლად შელახა,
რომ ნამდვილი გაზაფხული
შენთვის გადაენახა.
თოვლიც გადნა, ველად გაჩნდა
ისფერ იის ღერები,
გაზაფხულის ეს მზადმყოფი
ნორჩი პიონერები.
მშენებლობა მოდის ქვეყნად
ჯერ რომ არსად ნახულა,
პიონერო, ეს დღეები
შენთვის გამოსახულა!

## პიონერები

მოდიან,
მოიმღერიან
მალხაზი პიონერები,
გოგონები და ჰიჭები,
ერთურთზე მშვენიერები!
მოდიან, მოწკრიალებენ
ბრძოლის ჰანგების· რხევითა,
წითელი დროშის ფრიალით,
წითელი ყელსახვევითა!
მოდიან,
მოგუგუნებენ,
ქუჩებს ავსებენ ლხენითა,
მოყვრები ტაშით ხვდებიან,
მტრები კი გულის ღრენითა!
— იყავ მზად! — ისმის ხმამედგრად
ბრძანება წინამძღოლისა;
— მზადა ვართ! — გრგვინავს პასუხი,
როგორც დაფდაფი ბრძოლისა!
და ასე მოყიყინებენ
ახალგაზრდული ლხენითა,
წითელი ყელსახვევებით,
წითელი დროშის ფრენითა!

## საუბარი პიონერებთან



— სამშობლოს ყვავილებო,
საყვარელო ბავშვებო,
ახლად ფრთაგაშლილებო,
გოგონებო, ვაჟებო!
ერთი აქ შემომხედეთ,
რამდენი ხართ, რამდენი!
სწორედ დროზე მოხვედით,
კარგ დროს დაიბადენით!
ცა ლაჟვარდის მდელოა,
მიწის პირი ფართოა,
თქვენი სამფლობელოა,
თქვენი სანავარდოა.

დიდხანს აღარ იცდიან,
დიდხანს აღარ დგებიან,
ხელებს მაღლა იწვდიან,
თითქოს მეუბნებიან:
უქმად ჩვენ არ მოვიცდით,
წინ გვიძევსო გზა ფართო,
სწავლისა და ბრძოლისთვის
ჩვენ ყოველთვის მზად ვართო!

სამშობლოს ყვავილებო,
გაზაფხულზე მოსულნო,
ახლად გაფურჩქვნილებო,
მზის სხივებით მოცულნო,
შეჯავშნული გარშემო
ეს ქვეყანა თქვენია,
თქვენს სავალ გზას, ბავშვებო,
მზის სხივები ჰფენია!

# ჩვენი პირველი პიონერული კოლექტივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მ ო გ ო ნ ე ბ ა

მახსოვს, ერთხელ, როგორღაც ამხანაგებთან ერთად ქუჩაში, სახლის წინ ვთამაშობდი. უეცრად შევნიშნეთ ჩვენკენ მომავალი ჩვენივე ამხანაგი ივანე ჩესკინი, თავზე სატინის წითელი ბერეტით. იგი საოცრად დინჯად მოაბიჯებდა და, მოგვიახლოვდა თუ არა, ამაყად გვერდზე დადგა.

გვეუცხოვა მისი ასეთი ქცევა, ხოლო, წითელმა ბერეტმა სულ გაგვაოცა. შემოვეხვიეთ და დავუწყეთ გამოკითხვა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში წითელი ბერეტის შესახებ. მან გვითხრა, რომ ჩაეწერა პიონერთა კოლექტივში და უკვე მონაწილეობს ამ ორგანიზაციის მუშაობაში.

გაოცებულებმა და დაინტერესებულებმა, მტკიცედ გადავწყვიტეთ მიგვებაძა ივანეს მაგალითისათვის.

მეორე დღეს, შევიკრიბენით და გავემართეთ პიონერულ რაზმში ჩასაწერად.

რაზმი ჩამოყალიბებული იყო თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანასთან, ლენინის რაიონში, პლეხანოვის სახელობის კლუბში. ეს გახლდათ № 1 პიონერული კოლექტივი.

ცივი, ქარიანი საღამო იყო. მივედით კლუბის ტერიტორიაზე (მაშინ იქ ჯერ კიდევ არ იყო სკვერი) და ვხედავთ, რომ ეზოში ეწყობიან წითელბერეტიანი ვაჟები და გოგონები, ჩვენი მომავალი ამხანაგები. მათ ხელმძღვანელობდა დაბალი ტანის კაცი კაზაკური ფაფახითა და ტყავის ტყაპუჭით. შეგვნიშნა, რომ ჩვენ ინტერესით ვადევნებდით თვალყურს, მოგვიხმო და ალერსიანად გვკითხა. — რა, ბავშვებო, ჩაწერა გინდათ?

— გვინდა, — ვუპასუხეთ ერთხმად.

შემდეგ შეკრებაზე ჩვენ თვითონ ვიდექით მწყობრში და ვისმენდით ჩვენი აღმზრდელის ანდრია ბარსეგოვის საუბარს. ეს მხნე, მხიარული, ენერგიული ადამიანი ჩვენ ძალიან მოგვწონდა. იგი მოგვითხრობდა პიონერული ორგანიზაციის შესახებ, პიონერთა საქმიანობაზე.

ვუსმენდით სულგანაბულნი. ვამაყობდით, რომ ჩვენც გავხდით პიონერები. ეს იყო 1922 წლის ნოემბერში.



შემდგომი შეკრებები ტარდებოდა იქვე, კლუბის ეზოში — ღია ცის ქვეშ, 3-5 გრადუს ყინვაში. ხოლო ნამდვილი ზამთრის დადგომის შემდეგ შევწყვიტეთ შეკრებები, რადგან პიონერული მუშაობის ჩატარება ასეთ სიცივეში უკვე შეუძლებელი იყო.

ბავშვები ჩაცმული ვიყავით ძალიან ღარიბად, დავდიოდით შეკრებებზე ვისაც როგორ მოუხდებოდა — ძველი გაცვეთილი გიმნასტურით, უკეთეს შემთხვევაში — დახეული პალტოთი, ოდესღაც გადაგდებული მამის ფეხსაცმელებით ან ჩექმებით, ან სულაც ფეხშიშველები, ჩამოფხატული ფაფახით ანდა წოპიანი ქუდით. მიუხედავად ამისა, შეკრებაზე დავდიოდით აკურატულად, მოუთმენლად ველოდით დანიშნულ დღეს, სისტემატურად ვესწრებოდით ჩვენი პირველი კოლექტივის შეკრებებს.

გაზაფხულზე ისევ განვაახლეთ შეკრებები. ზაფხულში ბავშვები სოფლებში წავიდნენ, ხოლო 1923 წლის შემოდგომაზე მოგვცეს ახალი შენობა — ყოფილი ეკლესია, მაგისტრალის ქუჩაზე (ახლა იქ აბანოა).

არ გვქონდა არც საყვირი, არც დოლი.

საღამოობით, გაკვეთილების შემდეგ, ვიკრიბებოდით ერთად, ვთამაშობდით, ვერთობოდით. ყველაზე სახალისო და საინტერესო თამაში იყო „წითლები და თეთრები“. ძალიან გვიყვარდა სიმღერები. პირველი სიმღერები, რომლებსაც ვმღეროდით, იყო „მებრძოლნო, გავსწიოთ მწყობრად“, „ჩვენ მხნედ წავალთ ბრძოლაში“, „მჭედლები“ და „ინტერნაციონალი“.

მოგვივიდნენ ახალი ხელმძღვანელები ივანე ვაჩნაძე და ნიკოლოზ კარპოვი. ხელმძღვანელები ძალიან გვიყვარდა, მათ სახელით მივმართავდით — ანდრეი, კოლია, ვანიჩკა. მაგრამ უფროსებისადმი ასეთი მიმართვა სულაც არ გულისხმობდა მოურიდებლობასა და ძმა-ბიჭობას, პირიქით, აქ იმალებოდა განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული ჩვენი აღმზრდელების მიმართ, და ეს სიყვარული მჟღავნდებოდა ყოველ ნაბიჯზე. ერთხელ, ანდრია ბარსეგოვი არ მოვიდა შეკრებაზე. ძალიან შევწუხდით, გადავწყვიტეთ მასთან სახლში მისვლა, მაგრამ იგი არც შინ დაგვიხვდა. დავბრუნდით მოწყენილები და წავედით სახლებში. ასევე შეგვაწუხა, ერთხელ, ნიკოლოზ კარპოვის არმოსვლამაც, მასაც ვესტუმრეთ შინ. როცა მივედით, ნიკოლოზი იცვამდა და წამოსასვლელად ემზადებოდა. ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირვებია, სწრაფად გამოეწყო და ერთად, სირბილით წამოვედით. იგი სპორტულ ფორმაში იყო გამოწყობილი. ტრუსები და ბუცები

ეცვა. ბუცები მაშინ განსაკუთრებული იშვიათობა იყო და ამით კიდევ უფრო იზრდებოდა ნიკოლოზისადმი პატივისცემა. ერთ ადგილას მას ფეხი დაუსხლტა და წაიქცა, ბუცების კბილებმაც კი ვერ დააკავა. წაქცევის დროს მას მუხლი გადაეღლიტა და ცოტა სისხლი წამოუვიდა. ამ სურათმა ჩვენ ყველანი ძალიან შეგვაწუხა, მაგრამ ნიკოლოზმა არც შეიმჩნია, ისევე ამაყად განაგრძო სირბილი. შეკრებაზე ყველანი ერთად მივედით.

კოლექტივში თვითშემოქმედების წრეც ჩამოვაყალიბეთ. მახსოვს, ვამზადებდით ერთ პატარა სკეტჩს, მაგრამ მისი დადგმა ვერ მოვახერხეთ, არ გვქონდა კოსტუმები და არც შენობა გვქონდა შესაფერისი, ეკლესია არ იყო გამოსადეგი ასეთი დადგმებისათვის.

...როცა თბილისს მოვიდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების მძიმე ამბავი, ჩვენც დაგვიბარეს საპატიო ყარაულის მონაწილეებად.

დანიშნულ დროზე, უკლებლივ მოვგროვდით ყველანი; ეკლესიის ერთ ნაწილში მოწყობილი იყო კუთხე, სადაც კედელზე ეკიდა ლენინის პორტრეტი. პორტრეტის ჩარჩოდან დაბლა ეშვებოდა ორი შავი ლენტი, იატაკზე ეფინა ხალიჩა, კედელთან მდგარ მაგიდაზე ქოთნიანი ყვავილები იდგა. ერთო ნავთის ლამფა, მეორე მხარეს შემა ეწყო და თუნუქის ღუმელი იდგა. ამინდი ნამდვილი ზამთრისა იყო, გარეთ ყინავდა. ჩვენ მოგვცეს საბრძოლო შაშხანები და წყვილ-წყვილად, გაჭიმულნი, უძრავად ვიდექით ლენინის პორტრეტთან. შეცვლილი ბავშვები გახურებულ ღუმელთან ისხდნენ და ჩუმად საუბრობდნენ. მთელ ღამეს, ჩვენთან ერთად იყო ნიკოლოზ კარპოვი.

დილით დამწუხრებულნი წავედით სახლებში. მთელი ქალაქი გახვეული იყო სამგლოვიარო ბურუსში.

1924 წლის გაზაფხულზე მატარებლით გაგვემგზავრეთ ზემო ავჭალაში, იქ შენდებოდა საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგური — ზაჰესი უნდა გვემუშავა, დავხმარებოდით უფროსებს. ჩვენს გარდა, თბილისის სკოლების მრავალი მოსწავლეც გამოვიდა სამუშაოდ. მოსწავლეთა ასეთი რაოდენობის უზრუნველყოფა სამუშაო იარაღებით ვერ შეძლეს და მოსწავლეთა ნაწილი წავიდა მშენებლობის დასათვალიერებლად. ძალიან საინტერესო იყო შეგუბებული მტკვრის ნახვა, მაგრამ მაინც მოვახერხეთ ზოგ რამეში დავხმარებოდით მშენებლებს, ვეზიდებოდით ქვებს, ფიცრებს, მუშებს ვაწვდიდით საშენ მასალას. საღამოს შინ დავბრუნდით დაღლილები, მაგრამ კმაყოფილნი და სიამაყის გრძნობით აღვსილნი, რომ ჩვენც მოვეხმარეთ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში, რომ ჩვენც ვიშრომეთ სამშობლოსათვის.

1924 წლის გაზაფხულზე დაგვირიგეს პიონერული ფორმა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ გვეცვა ნორჩი თაობის სიმბოლური ტანსაცმელი, ხოლო, როცა ბიჭების ნაწილმა თავიც გაიკრიჭა, ჩვენი გარეგნული სახე მთლიანად შეიცვალა, მერე, როცა საყვირი და დოლიც მივიღეთ — ეს უკვე იყო ნამდვილად ის პიონერული ორგანიზაცია, რომლის შთამომავალს დღეს თქვენ გვხედავთ.

გიორგი კიკნაძე

ნახ. თ. სამსონაძისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცი თუ არა...

1935 წელს, თბილისში გაიხსნა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა. მის მშენებლობაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ დედაქალაქის პიონერ-მოსწავლეები.

აქ, დაწყებული მემანქანიდან, დამთავრებული გზის უფროსით, ყველა რკინიგზელი — პიონერია.

ნორჩი მგზავრები უახლოეს მომავალში მიიღებენ შესანიშნავ საჩუქარს — ახალ თბომავალს.

რკინიგზის ამ კვანძთან ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში პირველი — ნორჩ რკინიგზელთა საესტრადო ორკესტრი. რკინიგზასთან არსებობს კავშირგაბმულობის, მოძრაობის, მოდელების, კინომოყვარულთა, ფოტომოყვარულთა და სხვა ლაბორატორიები.

— : —

1936 წელსვე დაარსდა თბილისში ნორჩ რკინიგზელთა მხატვრული აღზრდის სახლი. ამ სახლთან 80-მდე სხვადასხვა წრე არსებობს: მუსიკალური, ჭადრაკის, გუნდური სიმღერების, ქართული ხალხური და საბჭოთა კავშირის ხალხთა ცეკვების, ქართული და რუსული მხატვრული ლიტერატურის, ტექნიკური, მხატვრული ტანვარჯიშის, სადურგლო, მებაღეობის, მეყვავილეობის, მეფრინველეობის და სხვა წრეებში 2000 პიონერ-მოსწავლე მეცადინეობს.

ტომსკის რკინიგზის ლიანდაგზე დადის ამ სახლის აღსაზრდელთა მიერ შეგროვებული ჯართისაგან დამზადებული ელმავალი „ამიერკავკასიის პიონერი". ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით გამოვა მათ მიერვე შეგროვებული ჯართისაგან დამზადებული მეორე ახალი ელმავალი — „ნორჩი პიონერი".



ეროვნული ბიბლიოთეკა

მორის ფოცხიშვილი

# სიმღერა პიონერულ კოცონზე

ნახ. გ. გელოვანისა

როგორ დაგვავიწყდება
ტყე-ტყე სიარული,
ხმელი ფიჩხის ძიება
როკვა-ჟრიამულით.
პიონერულ კოცონთან
სიმღერებად დაღვრა,
ცეცხლი სიხარულისა,
გულს რომ გვითბობს ახლაც?!

ჰოიდა, ჭიაკოკონავ,
ნაპერწკლების წვიმავ,
ჩვენი ყრმობის ზეცაზე
შვიდი ფერით ჩნდები,
სიამაყედ რჩები და
უკვდავებად ბრწყინავ.

სად არ გაგვხსენებია
შენი თბილი ტალღები,
ალუბლისფერ ალების
ალამ-ბაირაღები.



კოჯორი და კიკეთი,
კეჩხობი და სურამი —
ძველი ციხის კედლებში
ჩაკირული ზურაბი.

ახლაც თვალწინ გვიდგეხარ
ცეცხლი — ცისარტყელა,
ერთგულებას მშვიდად
გეფიცება ყველა:
„რაც არ უნდა მოხდეს,
ჩვენ გზა არ აგვერევა —
პიონერებს გვეძახიან,
ვრჩებით პიონერებად!“

და რომ პიონერობა
პირველობას ნიშნავს,
ჩვენ ეს ბევრჯერ ჩვენი
საქმით დავადასტურეთ —

პატარა პლანერები
შევაგებეთ რიჟრაჟს,
დღეს ამ „პლანერებმა“
ლაჟვარდები გასცურეს.

როგორ არ გვეხსომები,
სიყმაწვილის ზიარო,
ჩვენო აღტკინებავ,
ჩვენო სითამამევ!
შენი უბრალოება,
როგორც დიდი ცხოვრება,
გულს რომ გვისალკლდევებდა
და გმირებად გვზრდიდა,
სულ პირველი ლექსის
სულ პირველი სტრიქონი
მაგ შენს სხივთა ბადეში რომ
იცრებოდა წმინდად.
ჰოი, დიდო კოცონო,
ნაპერწკლების წვიმავ,
ჩვენს ხსოვნაში მას შემდეგ
სულ მზესავით ბრწყინავ.

. . .

ლურჯ ღამეებს ვტეხდით,
თეთრ კარვებში ვსახლობდით,
მოვიარეთ ფეხით
ყველა დიდი მაღლობი.
ყველა ჯურის ჭალა,
ზღვა ხევები, ზღვა მთები...
როგორც იმედს გზაში,
ყველგან შენ ერთს განთებდით.

შენი შუქის გვირგვინი
თავს გვეფინა მარადის,
როგორც კაი კაცობის
კარგი ქუდ-მუზარადი.

. . .

შენს პატარა მეგობრებს,
როგორც დედის მკერდი,
უცნაურად ათბობდი,
გულში იხუტებდი.
ჩაგვჭიდებდი ხელებს,
ერთად გვამღერებდი,
ერთად გვათამაშებდი,
ერთად გვაცეკვებდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შენით შევისისხლხორცეთ,
შენით შევიგრძენით,
როგორც ძალა ჩვენი,
უკვდავება ჩვენი,
სიბრძნე მეგობრობისა —
წყარო შვება-ლხენის...
მიხტოდნენ საათები,
მიფრინავდნენ დღენი.

მიფრინავდნენ დღენი,
ვით ფარფატა პეპლები...
ვბრუნდებოდით სკოლაში
მანქანებით, ეტლებით,
ლურჯი საბარგულებით და
მწვანე მატარებლებით.
და მოგვქონდა მკერდებით
შენი შუქის ჩქერები,
შენის გზნებით გარუჯული
ჩვენი ყელსახვევები.

. . .

ჩვენ ამ ყელსახვევებით
ომში ძმებს ვამხნევებდით,
მივდიოდით ქარხნებში
და პატარა ხელებით
ჩვენს მომავალს ვჩარხავდით
ზეინკლები, დურგლები,
გუგუნებდნენ დაზგები;
ჩურჩულებდნენ გულები:
„რაც არ უნდა მოხდეს,
ჩვენ გზა არ აგვერევა —
პიონერებს გვეძახიან,
ვრჩებით პიონერებად!“

ჩვენ სულ ასე გვჯეროდა,
ასე გვწამდა მას აქეთ,
რომ დავუბრუნდებოდით
პიონერულ ბანაკებს,
ხმელ ფიჩხს შევაგროვებდით
ტყე-ტყე სიარულით
და კვლავ აინთებოდი
როგორც სიხარული.

. . .

მიფრინავდნენ დღენი,
წლები ილეოდნენ,
მაგრამ შენი მხურვალე
ნაზი შუქის მადლი
ოდნავ არ მკრთალდებოდა...
ავაყვავეთ კახეთი,
სამეგრელო, ქართლი,
სვანეთი და რაჭა,
ფშავეთი და სამცხე,
ყამირს ბარი დავკარით,
ზღვა გემებით ვფარცხეთ.

ახლა, როცა შევცქერით
ჩვენს სამშობლოს,
ვხარობთ,
შენ ხარ ამ სიხარულის
პირველადი წყარო.

შენ ხარ, შენით შევხსენით
მზეს შვიდფერი კარები,
როგორც დედის ფიქრი
შორით გველამპარები.
გვესიზმრები, გველვრები
სულში შუქთა ჩქერებად —
ვიღვიძებთ და ვჩურჩულებთ:
„ჩვენ გზა არ აგვერევა,
პიონერებს გვეძახდნენ,
ვრჩებით პიონერებად!“

და რომ პიონერობა
პირველობას ნიშნავს,
ჩვენ ეს ჩვენი დიადი
საქმით დავადასტურეთ —
პატარა პლანერები
შევაგებეთ რიჟრაჟს,
დღეს ამ „პლანერებმა“
მეცხრე ზეცა გასცურეს.

. . .

ჰოიდა, ჭიაკოკონავ,
ნაპერწკლების წვიმავ,
ნაპერწკლების ფრთებით
შემოსილო ფრინველო,
ჩვენი ხსოვნის ბუდეში
უკვდავებად ბრწყინავ,
ჰოიდა, დიდო კოცონო,
ნაპერწკლების წვიმავ!

ვხედავ, გარს გეხვევიან
გოგონები, ბიჭები,
როგორც ჩვენი ოცნება
ლაჟვარდებში იჭრები.
ისევ ისე გრძელდება
ტყე-ტყე სიარული,
ხმელი ფიჩხის ძიება
როკვა-ერიამულით.

ვდგევართ შენს დიდ ღადართან,
მკერდზე გვაფენ ღიმილს —
ცეცხლი სიხარულისა
ღვიოდა და ღვივის!



# ᲜᲝᲠᲩᲘ შემოქმედნი — ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა









ვინც ამ დღეებში ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს ეწვევა, უთუოდ დიდხანს დაჰყოფს მის ერთ-ერთ ფართო და ნათელ დერეფანში, რომლის კედლებიც ნორჩ შემოქმედთა მრავალი ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრითაა დამშვენებული. აქ, სასახლეში, ახლახან გაიხსნა მოსწავლეთა სახვითი ხელოვნების რესპუბლიკური გამოფენა. ეს გამოფენა სახელოვანი იუბილის — პიონერული ორგანიზაციის დაარსების 40 წლისთავისადმია მიძღვნილი.

გამოფენაზე არაერთი ფერწერული ნამუშევარი იმსახურებს დამთვალიერებლის მოწონებას ორიგინალური გააზრებითა და შესრულების ხარისხით. ბევრი მათგანისათვის დამახასიათებელია საინტერესოდ გადაწყვეტილი კომპოზიცია, მეტყველი და გაბედუ ხაზები, კოლორიტულობა. ბევრ ეტიუ და ჩანახატში მჟღავნდება ადამიანის ფი რის კარგი ცოდნა, პეიზაჟის თავისებურ ამეტყველების უნარი. ყურადღებას იქც საგანთა ურთიერთ პროპორციული შეფ დება. ამათუიმ დეტალის მხატვრული ალ

მომავალი მხატვრის თვალი ჩანს ვ. პანაძის, თ. თადუმაძის, თ. გოგრიჭია ეტიუდებსა და ჩანახატებში. კომპოზიცი რად საინტერესოდ არის მოფიქრებული წლის ს. აგაპოვას ნახატი „სკოლისაკენ", სიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მის „ბუნების წიაღში". ავტორის უდაო ნიჭ რებაზე მეტყველებენ ს. ასათიანის კალმ შესრულებული ჩანახატები. მხატვრუ ფანტაზია და გაბედული ხელი ჩანს მ. გ







ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „ბუნების წიაღში“ — ს. აგაპოვა წ.ლკა. 2. „ჩანახატი“—ს. ასათიანი. სოხუმი. 3. „ქურა“—ვ. კაპანაძე. ქუთაისი 4. „ეტიუდი“—პ. ყიფიანი. გორი. 5. „გემის შეკეთება“—რ. ფარულავა. სოხუმი



10



9

6. „განრისხებული პატარა სპილო“—მ. გორდელაძე. თბილისი. 7. „ჩემი ძმა“—თ. თათუმაძე. ქუთაისი. 8. „მთამსვლელები“— ფ. ბუჭულაშვილი. თბილისი. 9. „ჩანახატი“ — ვ. კაპანაძე. 10. „სკოლისაკენ“— ს. აგაპოვა. 11. „ეტიუდი“—შ. კოჩიევი. ცხინვალი. 12. „სკოლის ნაკვეთზე“—თ. გოგრიჭიანი. ქუთაისი. 13. „ეტიუდი“—ვ. წიკლაური. დუშეთი. 14. „ეტიუდი“—თ. გოგიბერიძე. მახარაძე.



13



14



8

8708

დელაძის, თ. გოგიბერიძის, პ. ყიფიანის, ვ. წიკლაურის ჩანახატებსა და ეტიუდებში. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებენ შ. კოჩიევის ეტიუდები, რომლებიც ზეთის ფერებითაა შესრულებული.

გამოფენაზე კიდევ ბევრი, ყურადღების ღირსი ნამუშევარია წარმოდგენილი. მათი ავტორები, ბეჯითი შრომითა და დაუღალავი შემოქმედებითი ძიებით, მომავალში შეძლებენ დაეუფლონ მხატვრობის მეტად რთულსა და საინტერესო საქმეს.

ვაქვეყნებთ რამდენიმე ჩანახატისა და ეტიუდის ფოტორეპროდუქციებს.



6





7

[library stamp]

# საქართველოს პიონერთა
# ცხოვრების მემატიანე

1931 წელს ქართველმა პიონერებმა დიდი საჩუქარი მიიღეს. მათთვის გამოვიდა პირველი ქართული საბავშვო გაზეთი, რომელსაც „ნორჩი ლენინელი“ ეწოდა.

გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლიდან აგერ უკვე 41 წელი გავიდა. გაზეთის პირველი მკითხველები, პირველი ნორჩი კორესპონდენტები, ახლა თმაშევერცხლილები არიან, მათ საყვარელ გაზეთს კი მათი შვილები კითხულობენ.

გაზეთი ცხოვრების მატიანეა. აი, ჩემს წინ აწყვია აკინძული, ყდაში ჩასმული გაზეთი „ნორჩი ლენინელის“ ფურცლები პირველიდან უკანასკნელ ნომრამდე. ძველი ფურცლებისათვის ჟამთა სვლას ფერი უცვლია, ახალს კი ჯერ სტამბის სურნელებაც არ დაკარგვია.

ვფურცლავ გაზეთის ნომრებს და ჩემს თვალწინ საქართველოს პიონერთა ცხოვრების მრავალი საინტერესო ეპიზოდი ცოცხლდება. გაზეთის გაყვითლებული ფურცლებიდან ძველი პიონერები მელაპარაკებიან თავიანთ ნჩქეფარე პიონერულ ცხოვრებაზე, ლაშქრობებზე, სწავლაზე, იმაზე, თუ როგორ შეიყვარეს წიგნი, როგორ ედგნენ უფროსებს მხარში და როგორ მონაწილეობდნენ ახალი სოციალისტური ქვეყნის მშენებლობაში.

აი, 1931-34 წლის ნომრები. პიონერები აქტიურად არიან ჩაბმულნი საკოლმეურნეო საქმიანობაში, ტყვიაველმა პიონერებმა 25 ფუთი ნაცარი შეაგროვეს, მინდვრად 30 ურემი სასუქი გაიტანეს.

თელაველმა პიონერებმა ლაშქრობა მოაწყვეს მინდვრის მავნებლების წინააღმდეგ.

1935 წელი. თბილისელ პიონერებს დიდი ზეიმი აქვთ: გაიხსნა მათივე ხელით აშენებული, მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა.

კარგი სწავლისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის 1936 წელს, საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავზე, „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოეს პიონერი ეთერ გვანცელაძე.

1939 წელს მოსკოვში გაიხსნა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, გამოფენაზე მონაწილეობდნენ ქართველი პიონერები და მოსწავლეებიც.

დიდი სიხარული მოუტანა 1941 წლის 2 მაისმა თბილისელ ბავშვებს. ამ დღეს გაიხსნა პიონერთა სასახლე. გაზეთში დაბეჭდილი წერილებით ბავშვები მადლობას უხდიან კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ასეთი შესანიშნავი საჩუქრისათვის.

ომის დროს დროებით შეწყდა გაზეთის გამოსვლა. 1946 წლის ივნისში კი ქართველ პიონერთა ხელში კვლავ აფრიალდა „ნორჩი ლენინელი“. ომის შემდგომ პირველ ნომერში პოეტი იოსებ გრიშაშვილი წერდა:

> გზები გქონდა სასახელო,
> ბრწყინავ როგორც იაგუნდი,
> გამარჯვებულ საქართველოს
> მერცხალივით დაუბრუნდი.

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ჩვენი რესპუბლიკის ათიათასობით პიონერი მონაწილეობდა გაზეთის მიერ მოწყობილ ისეთ მასობრივ ლონისძიებებში, როგორიც არის: „არაჩვეულებრივი მოგზაურობა“ და „წითელი ლაშქარი“, „მწვანე საგუშაგო“ და „ვაშენებთ პიონერულ ქალაქს“.

ვფურცლავ გაზეთის ძველ ნომრებს და გული სიამით მევსება. ბევრ ჩვენს გამოჩენილ მწერალსა და ჟურნალისტს ამ გაზეთში „აუდგამს ფეხი“, აქ გამოუქვეყნებია თავისი პირველი ლექსი თუ წერილი.

„ნორჩ ლენინელში“ დაიბეჭდა იოსებ ნონეშვილის, მურმან ლებანიძის, ხუტა ბერულავას, თეიმურაზ ჯანგულაშვილის, ვახტანგ გორგანელისა და სხვათა პირველი ლექსები. ისინი გაზეთის აქტიური ნორჩი კორესპონდენტები იყვნენ.

აი, გაზეთის უკანასკნელი ფურცლები. ჩვენი დიადი ქვეყნის პიონერები თავიანთი ორგანიზაციის 40 წლისთავისათვის ემზადებიან. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით პიონერებმა გამოაცხადეს პიონერული ორწლედი დევიზით — „პიონერები სამშობლოს“.

ბევრი სასარგებლო და საინტერესო საქმიანობა გასწიეს პიონერებმა ამ ორი წლის მანძილზე. ასობით ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს, მონაწილეობდნენ სიმინდის, ყურძნის, ჭარხლის, აბრეშუმის, ხილის უხვი მოსავლის მოყვანაში.

დიდძალი ჯართი და მაკულატურა შეაგროვეს, ბაღ-ვენახებითა და ტყეებით დაამშვენეს მშობლიური კუთხე. პიონერთა მიერ გაშენებული კაკლის ხეივნები შრიალებენ გზატკეცილებზე.

ვინ მოთვლის პიონერთა იმ სასახელო საქმეებს, რასაც გაზეთის ფურცლები მოგვითხრობენ!

დიდია საქართველოს პიონერთა წარმატება და ამ წარმატებაში თავისი წვლილი აქვს გაზეთ „ნორჩ ლენინელს“. გაზეთი კვლავ დარჩება პიონერების მეგობრად, მათთან ხელიხელჩაკიდებული ივლის და შემოინახავს მათი ცხოვრების მღელვარე, არაჩვეულებრივად საინტერესო ცხოვრების შთაბეჭდილებებს.

ი. ცერცვაძე,
გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი

ნორჩი ლენინელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. პოდვოისკი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

# წითელი ყელსახვევი

ეს მოხდა მოსკოვში, თითქმის ოცდაათი წლის წინათ, 1922 წლის შემოდგომაზე; ეს ეს არის იქმნებოდა პირველი რაზმები და მხოლოდ თითო-ოროლა პიონერს თუ შეხვდებოდით. როცა მე და ჩემი მეგობარი ჟენია ტრუსევიჩი წითელყელსახვევიან ბიჭებსა და გოგონებს დავინახავდით, მართალი გითხრათ, დიდხანს ვუცქერდით შურით: რარიგ გვინდოდა ჩვენც პიონერები ვყოფილიყავით, მაგრამ როგორ უნდა მივეღწია ამისათვის, ეს არ ვიცოდით. მაშინ პიონერული რაზმები სკოლებთან არ ყალიბდებოდა. ქუჩაში, უცნობ პიონერებისათვის რომ გვეკითხა, გვეუხერხულებოდა. ჩვენს სკოლაში კი ერთ წითელ ყელსახვევსაც ვერ ნახავდით.

მე და ჟენია დიდხანს ვფიქრობდით და ბოლოს დავასკვენით, რომ კომკავშირელებს აუცილებლად ეცოდინებოდათ. ჩვენც აღარ დავაყოვნეთ და კომკავშირის რაიკომში წავედით, რომ გაგვეგო, სად იყო ის პიონერული რაზმი, რომელშიც მიგვიღებდნენ.

თვითონ რაიკომის მდივანი გამოგვესაუბრა. გამოგვკითხა, ვინ ვიყავით, რომელი სკოლიდან, მერე აიღო ქაღალდი და წერა დაიწყო.

— აი, ეს ბარათი, წაიღეთ რევოლუციურ სამხედრო საბჭოსთან არსებულ რაზმში და გადაეცით პიონერხელმძღვანელს. მისამართი ზედვე აწერია. გისურვებთ წარმატებას, ამხანაგებო! — გვითხრა მდივანმა და ბარათი გამოგვიწოდა.

უკან დაბრუნებულები სიხარულისაგან მიწაზე ფეხს არ ვაკარებდით. გზაში ერთი ათჯერ მაინც გავჩერდით, რომ კიდევ ერთხელ დაგვეხედა ბარათისათვის და მისამართი წაგვეკითხა. თურმე, იქვე ჩვენი სკოლის გვერდით, იმავე ქუჩაზე არ ყოფილა!

ერთი საათის შემდეგ მე და ჟენია უკვე ავდიოდით ბარათში ნაჩვენები სახლის მეოთხე სართულზე. შევედით კლუბში და სულმოუთქმელად, ერთხმად ვიკითხეთ:

— სად არის ხელმძღვანელი?

— აქ არის ხელმძღვანელი! — გაისმა პასუხად და ჩვენკენ შემობრუნდა ჩვიდმეტიოდე წლის ჭაბუკი, რომლის გარუჯული სახე თეთრი თმის და წარბების გამო ნეგატივს გავდა.

მღელვარებისაგან სუნთქვა შეგვეკრა. ხმის ამოუღებლად გავუწოდეთ ბარათი.

— მაშ ასე... — გვითხრა მან, როცა ბარათს თვალი გადაავლო, — გინდათ პიონერები გახდეთ, არა?

იგი მიუბრუნდა ბიჭებს, რომლებიც გაფაციცებით ისმენდნენ ჩვენს საუბარს და უთხრა:

— ამხანაგებო! პიონერთა რაზმში მისაღებად ამ ახალბედა ბიჭების მომზადებას ვავალებ „პარიზის კომუნის“ სახელობის რგოლს. „პარიზის კომუნის“ რგოლელები შემოგვეხვივნენ და ერთმანეთი სახელდახელოდ გავიცანით. უცებ კარები ფართოდ გაიღო და კიდევ ერთი ბიჭი შემოვიდა.

— ანდრეი, — შესძახეს ბიჭებმა, — სად ხარ აქამდე! მოდი მალე, ჩვენთან ახლები არიან!..

ბიჭმა ნაბიჯი გადმოდგა ჩვენკენ და უეცრად გაკვირვებისაგან ადგილზე გაქვავდა. ჩვენც, მე და ჟენიაც, გავვოცდით.

— გაიცანით, რას უყურებთ!

— ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს... — უხერხულად ჩაიბუტბუტა ბიჭმა.

— ვიცნობთ რომელია, ეს ხომ ანდრეიკა ბალაა! — თქვა ჟენიამ, — ჩვენს კლასში სწავლობს! მეზობელ მერხზე ზის... ეხ, შენ რა გითხრა! ჩვენ რაიკომშიც კი ვიყავით, რომ გაგვეგო სად იყო რაზმი, შენ არ შეგეძლო გეთქვა?

— აბა, მე საიდან ვიცოდი, თქვენ რომ რაზმში შესვლა გინდოდათ. ხალხი ჭრელია, ყველას როდი უნდა ჩიჩინი, — გაბრაზებით, თან დარცხვენით ამბობდა ანდრეი.

ანდრეის ძალზე უხაროდა, რომ ახლა მარტო ის არ იყო ჩვენს სკოლაში პიონერი. ჩვენ განუყრელი მეგობრები გავხდით. და აი, დადგა ის დღე, როცა ბოლოს და ბოლოს მე და ჟენიას საზეიმოდ გაგვიკეთეს წითელი ყელსახვევები. ეს ხდებოდა გაშლილი დროშის ქვეშ, მთელი რაზმის წინაშე, რომელიც კარედ* იდგა. იმ დროს პიონერები ხაზზე კი არ ეწყობოდნენ, არამედ კარედ დგებოდნენ.

* კარე—საზეიმო შეკრებაზე პიონერული რაზმის მოწყობა ქვეითი ჯარის ოთხკუთხა წყობილების მსგავსად.



როცა შინ ვბრუნდებოდით, ანდრეის ვკითხე:

— რატომაა, რომ რაზმში ატარებ ყელსახვევს და სკოლაში კი არა?

—მეშინია...—გულახდილად აღიარა ანდრეიმ,—ხომ იცი, ჩვენი სკოლა არბატის ბაზართანაა, იქ კი მედუქნეების, სპეკულანტებისა და ათასი ჯურის უცხო ელემენტების შვილები ირევიან. როგორც კი ყელსახვევს დაგინახავენ, უეჭველად გცემენ; როგორ ფიქრობ, არა ვცადე? მე რკინის გვერდი მაქვს... ან ყოველდღე ყელსახვევი წამართვან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერიჰა! — წამოვიძახე მე.— ეს რა, ძველი რეჟიმია თუ? როგორ, ჩვენს, საბჭოთა სკოლაში, ცემას ბედავენ?!

— ბედავენ, მე ხომ ვიცი!.. — ჩაიცინა ანდრეიმ. და მე მაშინვე გამახსენდა მის სახეზე დალილავებული ადგილები და კოპები, რომელთა შესახებაც იგი კლასში ყოველთვის ჯიუტად დუმდა.

— მერე რა, გვცემონ! პიონერი მშიშარა არ უნდა იყოს! — მტკიცედ თქვა ჟენია ტრუსევიჩმა, რომლის გვარი სრულიადაც არ შეეფერებოდა მის მებრძოლ და ფიცხ ხასიათს.

მე და ჟენიამ ვუთხარით: ხვალ სკოლაში სამივენი წითელი ყელსახვევებით მივიდეთ-თქო.

— ორი მესამედი ამის მომხრე ვართ, შენ კი, ანდრეი, ერთი მესამედი ხარ. — უმცირესობა, სულ ერთია, უნდა დაგვემორჩილო.

— გასაგებია, გემორჩილებით. — წაიბუტბუტა ანდრეიმ, — მხოლოდ იცოდეთ. მაგრა მოგვდებენ. მოდი, ერთად მაინც წავიდეთ.

...შემოდგომის მოღუშული დილაა. ჩრდილოეთის ქარი სველი თოვლის ფანტელებს მოერეკება. აბუზული გამვლელები საყელოს იწევენ, ჩვენ სამნი კი ამაყად მივაბიჯებთ პალტოგახსნილნი. ცეცხლის ენებივით ბრიალებენ ჩვენი წითელი ყელსახვევები. სკოლის ეზოში სხვადასხვაკლასელი ბიჭები ჯგროდ შემოგვეხვივნენ.

— ეს პიონერული ყელსახვევებია, ხომ?

— კი მაგრამ, როდის მიგიღეს?

— ძნელია პიონერი გახდე?

— რაზმი სად არის? — დაგვაყარეს შეკითხვები ბიჭებმა.

შევატყვე, რომ ისინი სრულიადაც არ იყვნენ მტრულად განწყობილნი ჩვენი ყელსახვევებისადმი. და ამ მეგობრული შეხვედრით გამხნევებულმა, გამარჯვებულის სახით გადავხედე ანდრეის, მაგრამ მისმა შემოხედვამ უსიტყვოდ მითხრა: „დაიცა, ნახავ!“.

უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა. მოსწავლეთა ჯგუფი გაიშალა. ჩვენ მიმოვიხედეთ და უნებურად ერთმანეთისაკენ მივიწიეთ: პირდაპირ ჩვენკენ, ჩამტვრეული კბილიდან ფურთხებით, ბიჭების ჯგროს მოუძღოდა არბატის მრისხანება ვასია პოდმიოტკინი, მეტსახელად—ჩოფურა. იგი სულ ახლოს მოვიდა ჩვენთან, დინჯად აგვხედ-დაგვხედა და უხეშად ხელი სტაცა ჟენიას ყელსახვევის წვერს.

— მოაშორე შენი ბინძური ხელი წითელ ყელსახვევს! — ყრუდ და მუქარით უთხრა ჟენიამ.

პოდმიოტკინმა ჩაიცინა და ჟენია მოწყვეტით მიიზიდა თავისკენ. ბრაზისგან თვალთ დამიბნელდა. მხოლოდ გუშინ იყო, ძველმა ბოლშევიკმა, წითელი არმიის მეთაურმა რომ გაგვიკეთა პიონერული ყელსახვევები და გვითხრა, — ესენი წითელი რევოლუციური დროშის ნაწილია, და ისე უნდა გაუფრთხილდეთ მათ, როგორც მებრძოლები დროშას უფრთხილდებიანო. თავდავიწყებულმა, რაც ძალი და ღონე მქონდა, ჩოფურას მკერდზე ხელი ვკარი. მოულოდნელობისაგან მან წონასწორობა დაკარგა, ჟენიას ხელი გაუშვა და მიწაზე ზღართანი მოადინა.

— არიქა, სკოლისაკენ მოვუსვათ! — წამჩურჩულა ანდრეიმ.

მაგრამ უკვე გვიან იყო. ჩვენ გარშემორტყმული ვიყავით.

— აბა, დასცხეთ პიონერებს! ჩამოგლიჯეთ ყელსახვევები! — ბრძანებლობდა თავის ბრბოს ჩოფურა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ შეუპოვრად ვიცავდით თავს, მაგრამ ბრძოლა უთანასწორო იყო. აი, ხულიგნებმა უკვე გაგვიკავეს ხელები. ცოტაც და, წითელ ყელსახვევებს შემოგვაფხრეწენ, ტალახში გადაუძახებენ... შორიახლოს კი ჩუმად დგანან მოსწავლეები. ბევრი მათგანი თანაგვიგრძნობს, მაგრამ ბრბოსი ეშინიათ და ამიტომ „ნეიტრალიტეტს იცავენ“.

— ბიჭებო! ვისაც მამა ან დედა კომუნისტი, ან ვისაც ძმა კომკავშირელი გყავთ, მოგვეშველეთ! — შეჰყვირა ჟენკამ უეცრად.

მოსწავლეთა ჯგუფი შეტორტმანდა, რამდენიმე ბიჭი გამოეყო და ჩვენს მოსაშველებლად წამოვიდა.

ხულიგნები შეჩერდნენ. სკოლიდან უკვე მორბოდნენ კომკავშირელები, ყველაზე წინ, კომუნისტი მასწავლებელი, სამოქალაქო ომის მონაწილე, სკოლაში ახლახან დაბრუნებული პავლე ივანეს ძე მორბოდა და თან გზადაგზა წითელარმიელის ფარაჯას იკრავდა. ბრბო ერთბაშად მიმოიფანტა.

— აბა, ცვლავ მიიღეთ საბრძოლო ნათლობა? — ღიმილით იკითხა პავლე ივანეს ძემ.

— ყელსახვევები ვერ ჩამოგვგლიჯეს და ვერც ვერასოდეს ჩამოგვგლეჯენ! — ამაყად განაცხადა ჟენიამ, თან ცხვირიდან სისხლს ხელით იწმენდდა. ჩვენ ყველას გვეტყობოდა წეღანდელი ბრძოლის კვალი: ანდრეის შუბლზე ვეებერთელა კოპი ამობურცვოდა, მე ტუჩი მქონდა გახეთქილი.

— ისევ ატეხეს ბიჭებმა ჩხუბი! — გამოსცრა გამხდარმა მასწავლებელმა ქალმა, რომელიც წინათ მდიდრებთან მუშაობდა ბავშვების აღმზრდელად.

— არა, ლუცია კარლოს ასულო, აქ უფრო სერიოზულადაა საქმე: ეს კლასობრივი ბრძოლაა, — სთქვა პავლე ივანეს ძემ.

ამ სიტყვებმა ჩვენ სიამაყით აგვავსო: მაშასადამე, ისე მოვქცეულვართ, როგორც საჭირო იყო. მტერი ჯერ კიდევ ბევრია ჩვენს გარშემო, ეს უფროსებიდანაც ვიცოდით. მტრები მიმალულნი არიან. ისინი იშვიათად მოქმედებენ აშკარად. მათი გამოცნობა ყოველთვის არც თუ ისე ადვილია... ჩვენ კი მივიღეთ მტრის გამოწვევა.

როცა სამივენი პირის საბანად დერეფანში მივაბიჯებდით, გვესმოდა როგორ ჩურჩულებდნენ ბავშვები:

— არა უშავთ ჩვენს პიონერებს, მამაცნი არიან.

— არც შეიძლება მშიშრები იყვნენ, ისინი ხომ კომუნისტობას სწავლობენ.

პირის საბან ოთახში რომ შევედით, ჟენკამ, რომელსაც მაღალფარდოვანი სიტყვების თქმა ახასიათებდა, თქვა:

— მაშ, ჩვენ ტყუილუბრალოდ არ დაგვიღვრია სისხლი, ამხანაგებო! ბიჭებში ავტორიტეტი უცებ მოვიპოვეთ!

ვასკა ჩოფურასთან და არბატის სხვა ხულიგნებთან, რომლებსაც „ძველი სამყაროს“ წარმომადგენლები გვისისინებდნენ, კვლავ არა ერთხელ მოგვიხდა შეტაკება. მაგრამ რაც დრო გადიოდა, ჩვენ უფრო და უფრო ძლიერნი ვხდებოდით. ფაბრიკა-ქარხნებთან სულ ახალი და ახალი რაზმები იქმნებოდნენ. სასწავლო წლის ბოლოს ჩვენს სკოლაში უკვე 12 პიონერი ითვლებოდა. იმ დროისათვის ეს ცოტა როდი იყო.

ჩამოყალიბდა ფორპოსტი. ფორპოსტი — მებრძოლი საგუშაგოა მოწინავე ხაზზე. ფორპოსტის პიონერები ცდილობდნენ ყველაფერში დახმარებოდნენ სკოლის კომკავშირელებს და კომუნისტ მასწავლებლებს, მიეზიდათ პიონერულ რაზმებში ბავშვები.

გაიხსნა პიონერთა რაიონული სახლი და ჩვენ იქ სახელოსნოებში სამუშაოდ დავდიოდით, რადგან ყოველი პიონერი მოვალე იყო შეესწავლა სხვადასხვა ხელობა. პიონერული რგოლი „პარიზის კომუნა“ თანმიმდევრულად მუშაობდა ოთხ სახელოსნოში: სახარაზოში, სამკერვალოში, საამკინძაოსა და სადურგლოში.

ყოველნაირად ვცდილობდით დავხმარებოდით ჩვენს ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას. ვამეცადინებდით წერა-კითხვის უცოდინარებს, ასეთნი მოზრდილთა შორის მაშინ საკმაოდ ბევრნი იყვნენ. ვოლგისპირეთში შიმშილი მუსრს ავლებდა ადამიანებს. და ჩვენ ქუჩა-ქუჩა დავდიოდით „მშიერთა დამხმარე კომიტეტის“ ყულაბით ხელში. ხშირად ხდებოდა, რომ ვინმე ღაჟღაჟა, ჩასუქებული ქალი ბოროტი სისინით გვეტყოდა: „თქვენთვის არაფერი გვაქვს!“ გახუნებულკეპიანი და გაქექილტყაპუჭიანი მუშა კი გაზეთილი ხელებით ჯიბეებს მოიჩხრეკდა და იქიდან უკანასკნელ კაპიკს იღებდა.

— ბიძია, თქვენ ტრამვაის ფულიც არ დაგრჩებათ, — შეწუხებული ვეტყოდით ჩვენ.

— არა უშავს, ბიჭებო, ფეხითაც წავალ, — გვეტყოდა იგი და მხნედ გაუდგებოდა თავის გზას.

თარგმნა შ. ღოღობერიძემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენც პიონერები ვიყავით!



## პიონერული სიმღერა

*გვიფრიალებს ყელსახვევი,*
*ჩვენი დროშის ფერი,*
*ბრძენ პარტიის სადიდებლად*
*ვსწავლობთ, ვშრომობთ, ვმღერით.*

*სად არ გვნახავთ, სადღა არ ვართ*
*სკოლის კედლებს გარდა, —*
*ბაღ-მინდვრებში, თუ ქარხნებში,*
*დამდნარ თუჯის ღვართან.*

*ჩვენ მომავლის ყვავილებად*
*დიდ სამშობლომ გვზარდა,*
*შრომისათვის, ბრძოლისათვის*
*მზად ვართ!*
*მზად ვართ!*
*მზად ვართ!*

*მიწის ქვესკნელს გავაგონებთ*
*მოტორების დგანდგარს,*
*ცას შევუბჯენთ ხარაჩოებს,*
*მზის დარბაზებს დავდგამთ.*

*ვარსკვლავეთში ვინავარდებთ,*
*მარსზე დავცემთ კარავს,*
*მთვარეს მიწის ცასარტყელას*
*შემოვარტყამთ რკალად.*

*ჩვენ მომავლის ყვავილებად*
*დიდ სამშობლომ გვზარდა,*
*კომუნიზმის საქმისათვის*
*მზად ვართ!*
*მზად ვართ!*
*მზად ვართ!*



## თქვენით იხაროს მამულმა

*რა გითხრათ, რით გავახარო*
*თქვენი ნიბლია გულები,*
*სულ თქვენთვის მინდა, რაც კია*
*ამ ქვეყნად თაიგულები.*

*თქვენა ხართ ჩვენი ღიმილი,*
*დილის მზის თვალის გახელა,*
*სიცოცხლის სალამურებო,*
*სიმღერა გქვიათ სახელად.*

*·ია და ვარდი გეფინოთ,*
*საითაც წასვლა გენებოთ,*

*თქვენით იხაროს მამულმა,*
*საბჭოთა პიონერებო!*

*სულ იყოს თქვენი დღეები*
*სწავლით და შრომით ნაქები;*
*თქვენ კომუნიზმში იცხოვრებთ,*
*ხართ მისი მოქალაქენი.*

*არ დაბნელდება თქვენი ცა,*
*გზა სისხლით ვერვინ შეღებოს,*
*მუდამ წინ, სულ წინ იარეთ,*
*სამშობლოს პიონერებო!*

---

### დამტარებლები

გაკვეთილები დამთავრდა. რუსნენსკოს რაიონის კაზი-ტიშის სკოლის მოსწავლეები სახლებისაკენ გაემართნენ, მაგრამ ყველა როდი წავიდა შინისაკენ. რამდენიმე ბავ-შვმა ფოსტაში შეიარა. იქ მათ კარგა ხანი ელოდებოდა ფოსტის უფროსი.

მან პიონერებს გაზეთები, წერილები, ჟურნალები, წიგნები დაურიგა და ბავშვები სოფელში გაიფანტნენ.

ნორჩი დამტარებლები კეთილსინდისიერად ასრულე-ბენ თავიანთ საქმეს და კოლმეურნეები ძალზე კმაყოფი-ლი არიან ბავშვებით.

# ᲓᲕᲔᲜ 17000000 ᲕᲐᲖᲗ!

### ქალაქი — ბაღი

როდესაც ესტონეთის სსრ რუსნენსკოს რაიონის პიონე-ნერებმა გაიგეს, კაუნასსა და სხვა ქალაქებში ბავშვები ხეებს რგავენ და პიონერულ ხეივნებს აკეთებენო, გადა-წყვიტეს მიებაძათ მათთვის.

— რა იქნება, ჩვენც რომ გავაკეთოთ ხეივანი, მაგა-ლითად, შილუტეს ქუჩაზე? იქ ერთი თავისუფალი ადგილია დატოვებული, — წინადადება შეიტანა მე-შვიდეკლასელმა ვიოლეტა ისკირბლიტემ.

მთელი რაზმი ქალაქის საბჭოსაკენ გაემართა. საბჭო-ში არა თუ დაეთანხმნენ, შეაქეს კიდევაც პიონერები. მა-ლე ბავშვებმა ხეხილის ნარგავები მიიღეს და ხეივნის გე-გმა შეადგინეს. რამდენიმე კვირის შემდეგ, შილუტესა და აკირნეს ქუჩები ნამდვილ ბაღს დაემსგავსა. ქუჩის მცხოვრებნი აღფრთოვანებული იყვნენ პიონერთა საქმი-ანობით. მალე სხვა ქუჩებშიც დავრგავთ ხეხილს, მთელ ქალაქს ბაღად ვაქცევთ, — პირობას დებენ რუნესკოე-ლი პიონერები.

# დაბალი მედოლე

ნ. ბეჟარაშვილი

დილით ადრე მივედი სკოლაში. მაგრამ კლასში არ შევსულვარ, პიონერთა ოთახისაკენ გავუხვიე. კარი ღია დამხვდა. ის იყო მოერეცხათ იატაკი, ირგვლივ სიგრილე და სისუფთავე იგრძნობოდა. ოთახის შუა ადგილას წითელ მაუდ-გადაფარებული მაგიდა იდგა. კედელზე მიმაგრებულ თაროებზე პიონერების ხელით გაკეთებული ანძიანი გემების, ტრაქტორებისა და ვეება კოსმოსური თანამგზავრების მაკეტები ეწყო. ეს ნივთები რამდენჯერმე მქონდა დათვალიერებული და თითოეული რა დეტალებით იყო აგებული, ისიც კი ვიცოდი. მე მხოლოდ ოთახის ერთ კუთხეს გავყურებდი, სხვა რამე სულ არ მაინტერესებდა. იქ მაღალი, ოქროსფერფოჩებიანი დროშა იყო მიყუდებული. მის მახლობლად კი პატარა მაგიდა იდგა, რომელზედაც დოლი და ნიკელის პრიალა საყვირი იდო, ამ საყვირსა და დოლს, როცა პიონერები შაბათობაზე ან ზეიმზე მწკრივში ჩამდგარი მივდივართ, მეშვიდეკლასელები: ვანო და თემური უკრავენ ხოლმე.

«ნეტა მეც დავუკრავ ისე ხმამაღლა და კარგად»?— გავიფიქრე და მაგიდასთან მივედი. დოლი ავიღე, კისერზე გადავიკიდე. მერე ჯოხები მოვიმარჯვე და, რაც შემეძლო, დავცხე და დავცხე.

— ტრამტა, ტრამტა,—ახმაურდა დოლი. ვინ იცის როდემდე გავაგრძელებდი მის ბრახუნს, რომ ვიღაცის ხმა არ გამეგონა;

— ყოჩაღ, გიო!

გვერდზე მივიხედე და უფროსი პიონერხელმძღვანელი დავინახე. ეს ის ქალი იყო, რომელმაც ამ ორი წლის წინ პიონერთა ორგანიზაციაში მიმიღო და თავისი ხელით გამიკეთა წითელი ყელსახვევი. შემრცხვა. დოლი დავდე და წასვლა დავაპირე, მაგრამ ხელმძღვანელმა შემაჩერა.

— აბა, კიდევ დაუკარი!

მეც მოვიმარჯვე ჯოხები და ავახმიანე დოლი. ხელმძღვანელი რიტმს ხელის მოძრაობით აჰყვა, ისე, როგორც დირიჟორებმა იციან ხოლმე, და ღიმილით მითხრა:

— ყოჩაღ, გიო, კარგად უკრავ!

დოლი დავდე და გავიქეცი, რადგან გაკვეთილის დაწყების დრო იყო. გავიქეცი და თან რაღაც სიხარული გამყვა. ვერ ვიტყვი, რა მიხაროდა — ხელმძღვანელის შექება, თუ გულში იმედის გაღვივება, რომ როდესმე მეც დამაკვრევინებდნენ დოლს დღესასწაულზე გამოსვლისას?

საღამოს, უფროს ძმას გავუზიარე ჩემი სიხარული. ვუამბე, როგორ შემიქო ხელმძღვანელმა დოლის დაკვრა.

— ეჰ, ეგეც რამეა, დოლს ვინ ვერ დაუკრავს! და თუნდაც კარგად დაუკრა, შენ მაინც ზეიმზე არ დაგაკვრევინებენ.

— რატომ არ დამაკვრევინებენ? - მეწყინა ძმის ნათქვამი.

— იმიტომ რომ, დაბალი ხარ, ბიჭო, დაბალი. წინ ვინ დაგაყენებს, მედოლე კი უკან რომ იდგეს, არ შეიძლება!

მენიშნა. მართლაც, წინა რიგში მაღლებს აყენებენ ხოლმე. მაგრამ იხტიბარი მაინც არ გავიტეხე.

— მაშ, რაკი შენ იტყვი! თუ კი კარგად მეცოდინება დაკვრა, ისე დამაკვრევინებენ, რომ...

ამის შემდეგ დიდი დრო აღარ გასულა. ერთ დღეს პიონერები სკოლის ეზოში გაგვიყვანეს და რიგში ჩაგვაყენეს — პირველი მაისის ზეიმისათვის ვემზადებოდით. მე, როგორც დაბალი ბიჭი, უკანა რიგში ვიდექ და ხელმძღვანელის თვლას ვაყოლებდი ფეხს. ცოტა ხანს შევჩერდით. ჩვენს რაზმში ქოთქოთი ატყდა.

— გიო, გიო საით არის? — ვიღაცა მეძებდა. ეს ჩვენი კლასელი მზია იყო. დამინახა თუ არა, მოირბინა და მითხრა:

— გიო, ხელმძღვანელი გეძახის. ჩქარა, ჩქარა.

მეც წავედი.

ხელმძღვანელმა ხელი ჩამკიდა, ჩვენი რაზმის წინ, საყვირის დამკვრელი ბიჭის გვერდით დამაყენა და დოლი თავისი ხელით გადამკიდა კისერზე.

— აბა, ყოჩაღად დაუკარი!

მთელ კვირას ვვარჯიშობდით. და აი, პირველი მაისიც მოვიდა. ბიჭებს მოკლე შარვლები და თეთრი ხალათები გვეცვა. რა თქმა უნდა, სუფთა, უთოთი გატკეცილი წითელი ყელსახვევები გვეკეთა. მე ახლაც წინ დამაყენეს, საყვირის დამკვრელი მაღალი ბიჭის გვერდით.

— დუ, დუ, დუ, დუ, დუ — გაჰკიოდა საყვირი.

ნახ. რ. ცუცქირიძისა

— ტრამტა, ტრამტა, — ვუკრავდი დოლს და თან ვფიქრობდი: «სად არის ნეტავ ჩემი ძმა? ახლა მაინც გაიგოს, რომ მარტო სიმაღლისათვის არ აყენებენ მედოლეს წინ;

— ტრამტა, ტრამტა, ტრამ-ტატა, — უკრავდა ჩემი დოლი და ასეული პიონერი ფეხს აყოლებდა მის ხმას.



# პიონერმა უნდა იცოდეს...

...ყელსახვევი წარმოიშვა პიონერულ ორგანიზაციაზე ადრე. მას ატარებდნენ 1919 წელს ნორჩი კომუნისტები, რომლებიც ოცნებობდნენ კომკავშირში შესვლაზე.

...პიონერულ ყელსახვევს პირველად მართკუთხედის ფორმა ჰქონდა. მხოლოდ 1922 წელს, როდესაც ქალაქის პიონერები სტუმრად ეწვივნენ სოფლელ თანატოლებს, ყელსახვევები დიაგონალზე გაჭრეს და თითოეულიდან ორი, სამკუთხედის ფორმის ყელსახვევი მიიღეს. შემდეგ ეს ყელსახვევი გადასცეს ახლადჩამოყალიბებული პიონერული რაზმის წევრებს.

...პირველ პიონერულ ჟურნალს ეწოდებოდა „ბარაბანი", რომლის პირველი ნომერი ხელნაწერის სახით გამოვიდა 1922 წელს.

...პირველ სამკერდე ნიშანზე გამოსახული იყო კოცონი, მის ფონზე კი — ჩაქუჩი და ნამგალი, შუაში ეწერა მოწოდება — „იყავ მზად!" სამკერდე ნიშანს ამზადებდნენ კომკავშირელები სპეციალურ სახელოსნოში, მათ მიერვე მოწყობილ შაბათობებზე. შემდეგ მან მრავალი სახის ცვლილებები განიცადა. იმ სახის სამკერდე ნიშანი, როგორსაც თქვენ ატარებთ, პირველად 1945 წელს გამოვიღა.

...პიონერულ ორგანიზაციას თავისი სიმბოლიკა და ატრიბუტები აქვს, რომელთა მნიშვნელობაც კარგად უნდა იცოდეს თითოეულმა პიონერმა.

პიონერულ სიმბოლიკაში შედის დროშა, ყელსახვევი, სამკერდე ნიშანი, სალამი და დევიზი. თითოეული მათგანი გარკვეული შინაარსის სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენს.

„ღირსეულად ატარე!" — ეუბნებიან პიონერს პიონერთა ორგანიზაციის რიგებში შესვლის დღეს, როდესაც საზეიმო დაპირების წარმოთქმის შემდეგ მას უფროსი ამხანაგები პიონერულ ყელსახვევს გაუკეთებენ.

პიონერული ყელსახვევი სამი ბოლოსაგან შედგება, რომლებიც სამი თაობის: კომუნისტების, კომკავშირელების და პიონერების ურღვევ კავშირს გამოხატავს. პიონერული ყელსახვევი საპარადო ფორმა როდია, იგი არის წითელი დროშის ნაწილი და პიონერის ნიშანს წარმოადგენს.

პატივი ეცით, არასოდეს და არსად არ შეარცხვინოთ წითელი, პიონერული ყელსახვევი!

წითელი ყელსახვევის გვერდით, მკერდის მარცხენა მხარეს, პიონერი ატარებს სამკერდე ნიშანს. იგი წარმოადგენს ხუთქიმიან ვარსკვლავს 1,5 სმ რადიუსით. მის თავზე გამოსახულია ჩაქუჩი და ნამგალი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სიმბოლო. ვარსკვლავზე აღმართულია ალის სამი ენა. ვარსკვლავის ორი ქვედა ბოლო შეკრულია ბაფთით, რომელზედაც წერია: „მზად ვარ!".

ალის სამი ენა, ისევე როგორც ყელსახვევის სამი ბოლო, ნიშნავს სამი თაობის: კომუნისტების, კომკავშირისა და პიონერების კავშირს.

მარჯვენა ხელის მჭიდროდ შეკრული ხუთი თითი, აღმართული თავს ზევით — ნიშნავს, რომ პიონერი დედამიწის ხუთი კონტინენტის მშრომელთა ინტერესებს საკუთარ თავზე მაღლა აყენებს. ასე ესალმება პიონერი უფროსებს და ამხანაგებს. სალამს იღებს აგრეთვე ჰიმნის შესრულებისას, დროშის შემოტანისას, ლენინის მავზოლეუმთან, ლენინის ძეგლთან.



„კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!" — გაისმის პიონერულ შეკრებებზე, პარადებზე პიონერებისადმი მიმართულ მოწოდებებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად გსმენიათ ეს დევიზი და ყოველთვის ერთსულოვნად გიპასუხიათ: „მზად ვართ!".

პიონერული დევიზი — ეს არის მოკლე მიმართვა, რომელიც მოიცავს პიონერული ორგანიზაციის ძირითად ამოცანას — აღზარდოს მოზარდი თაობა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით.

ყველა პიონერი იცნობს პიონერულ საყვირს, რომლის ხმაზეც ეწყობიან ხაზზე, იკრიბებიან, სწევენ ალამს, შემოაქვთ დროშა და სხვ.

ყველა რაზმეულს, ყველა რაზმს უნდა ჰქონდეს დოლი და საყვირი, მათი თანხლებით შემოაქვთ რაზმეულის დროშა შეკრებაზე, მიდიან სალაშქროდ და ა. შ.

მესაყვირეს უნდა შეეძლოს მისცეს ნიშანი: „ყურადღება", „ადგომა", „სადილი", „შეხვედრა", „განგაში", „ძილი", „დროშის აწევა", „სალაშქრო მარში".

პიონერული აქტივისტი უნდა გამოირჩეოდეს დანარჩენი პიონერებისაგან. სწორედ ამ მიზანს ემსახურება განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც წარმოადგენს 1 სმ სიგანისა და 4 სმ სიგრძის მუყაოს წითელ ზოლს. ამ ნიშანს აქტივისტი ატარებს მარცხენა სახელოზე.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს სამი ასეთი ზოლი უკეთია, რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს და რაზმეულის საბჭოს წევრებს — თითო.

პიონერი სკოლაში ცხადდება მოსწავლის ფორმით, რომელზედაც უკეთია ყელსახვევი, სამკერდე ნიშანი, და თუ ის აქტივისტიცაა — განმასხვავებელი ნიშანი. შეკრებებზე, პარადზე, დემონსტრაციებზე და ამათუიმ ზეიმებზე პიონერი ცხადდება საპარადო ფორმით: ბიჭები — თეთრი ხალათითა და მუქი ფერის შარვლით, გოგონები — თეთრი ზედატანითა და მუქი ფერის ქვედატანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ერთი დღე პიონერთა სასახლეში

ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში!

ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ბავშვებით აივსო.

ცოცხალი ყვავილებითაა დამშვენებული დერეფნები. საზეიმოდაა მორთული დარბაზები და კაბინეტ-ლაბორატორიები, გამოფენილია ნორჩ შემოქმედთა ნამუშევრები.

სასახლის პიონერები გულღიად ეგებებიან საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულ თანატოლებს. სტუმრებიც და მასპინძლებიც მე-17 სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მონაწილენი არიან.

განათლების სამინისტროსა და პიონერთა სასახლის ეს შესანიშნავი ღონისძიება მოსწავლეთათვის ტრადიციადაა ქცეული.

სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, მოსწავლეთა ცოდნისა და შემოქმედების გამოვლენის გარდა, აახლოებს, ამეგობრებს დედაქალაქში თავმოყრილ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებს. აქ ერთმანეთს ხვდებიან კონფერენციის ორგზისა და სამგზის მონაწილენი, რომლებიც ერთმანეთს თავიანთი სწავლისა და შრომის შესახებ უამბობენ. კონფერენციის სექციების სხდომებზე საუკეთესო ნაშრომებით გამოდიან ნორჩი ლიტერატორები, ისტორიკოსები, ქიმიკოსები, მათემატიკოსები... ერთმანეთის ნაშრომებს ეცნობიან მომავალი მხატვრები, მოქანდაკეები, ტექნიკოსები. ისინი ღებულობენ ერთმანეთის შენიშვნებს და ერთმანეთს ცოდნას უზიარებენ.

ორ აპრილს, თბილისის რუსთაველის თეატრის შენობაში მოეწყო კონფერენციის შემაჯამებელი საზეიმო საღამო, სადაც საუკეთესო ნაშრომების წარმოდგენისათვის, ცხრაასამდე მოსწავლეს გადაეცა განათლე-



ეროვნული ბიბლიოთეკა



პედაგოგი მარინე უთმელიძე ატარებს საწვრთნელ მეცადინეობას: კლდეებზე გადასვლას.



ნორჩი ავიომოდელისტი ივანე ტოკარევი ახალი სამაკეტო მოდელით.

# ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში!

ბის სამინისტროს სიგელი, ხოლო რამდენიმე მოსწავლე დაჯილდოებულ იქნა ფასიანი საჩუქრებით. დასასრულ სასახლის პიონერებმა სტუმრებს თავიანთი მხატვრული თვითშემოქმედება უჩვენეს.

სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის ცეკვებით იხიბლებიან სტუმრები. მოცეკვავეებს მომღერლები ცვლიან.

აი, საესტრადო ანსამბლის თანხლებით, „ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტ" სამშობლოს უმღერის პატარა ნანა ჯანელიძე.

სასახლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საესტრადო ანსამბლი, რომელმაც მაყურებლის დიდი მოწონება, დაიმსახურა, სულ 2-3 თვისაა.

გოგონებისა და ბიჭუნების გაერთიანებული გუნდი ასრულებს სიმღერებს სამშობლოზე და ლენინზე... სცენაზე მოჩანს დიდი ლენინის სურათი, რომლის სახეც ყველგან და ყოველთვის მიუთითებს მოზარდ თაობას, სწავლასა და შრომაში იყოს მუდამ წინ, მხოლოდ წინ! „წინ!" — ს. მირიანაშვილის მუსიკით ამთავრებენ თავიანთ გამოსვლას ნორჩები.

შეხვედრის კეთილსახსოვრად ყველა პიონერს თან მიაქვს თბილისის პიონერთა სასახლის გაზეთ „გაზაფხულის" 31 მარტის ნომერი, რომელიც კონფერენციას მიეძღვნა.

გაზეთის პირველი გვერდი კი სასახლის პიონერებს მოაგონებს, რომ 19 მაისამდე დარჩა 50 დღე!

იქვე ვკითხულობთ გია ჯანაშიას და ვლადიმერ კარპოვის პატარა წერილს: „პიონერული ორგანიზაციის დიდ დღესასწაულს საჩუქრად ვუმზადებთ „ტუ-104"-ის, „ტუ-114"-ის, „ილ — 18"-ის და სამგზავრო რაკეტოპლანის მოდელებს. 19 მაისს კი — პიონერულ რაკეტებს გავუშვებთ".



დიდი ხალისით მიეშურებიან პატა... მებაღეები სასახლის ბაღში სამუშაოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ნორჩ გემთმოდელისტთა 1961 წლის საკავშირო ჩემპიონი გიორგი ვარაზი გვატყობინებს, რომ ამზადებს გემის — „გორდას“ მოდელს რადიომართვით, და დაამთავრებს 19 მაისისათვის.

—რით ეგებებიან სასახლის დანარჩენი პიონერები საიუბილეო თარიღს ვკითხულობ და ვიწყებ „მოგზაურობას“ სასახლის კაბინეტებსა და დარბაზებში.

ლიტერატურულ კლუბში ბავშვებს მეცადინეობა დაემთავრებინათ.

პიონერთა სასახლის მუსიკალური განყოფილების მოსწავლე მურმან ოძელაშვილი ვიოლინოზე ასრულებს სულხან ცინცაძის „ხორუმს“.





ნორჩმა ტექნიკოსებმა დაამზადეს და „ექსპლოატაციაში გაუშვეს“ მოტო-ხექციური ვაგონები „თბილისი—რუსთავი“. სურათზე: მირიან ჩხეიძე (მარჯვნივ) თავის მეგობარ ჯემალს აცნობს ვაგონის კონსტრუქციას.

მათ მაგიერ პედაგოგი მიამბობს, რომ ნორჩი ლიტერატორები პიონერული, ორგანიზაციის 40 წლისთავს უძღვნიან ალბომს სათაურით „ჩვენს კაბინეტში აღზრდილი მოწინავე ადამიანები“. რომ მე-8, მე-9, მე-10 კლასების მოსწავლეები მოაწყობენ დისპუტს თემაზე: „როგორი უნდა იყოს საბჭოთა ადამიანი“.

ჩატარდება კითხვა-პასუხის საღამო თემაზე: „იცნობ თუ არა შენ, შენს დედაქალაქს?“

მოეწყობა შეხვედრა პიონერული ორწლედის მოწინავე პიონერებთან. ჩატარდება ლიტერატურული კარნავალი და... კიდევ ბევრი, ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი განხორციელდება ამ დღეს.

თოჯინების თეატრში ახალი პიესის „სად არის ბედნიერება“ რეპეტიცია მიმდინარეობს. ნორჩი მსახიობები საიუბილეო თარიღს ამ სპექტაკლით ხვდებიან.

საქმიანად და ენერგიულად მუშაობენ სასახლის ნორჩი ნატურალისტები. დაწყებული აქვთ და მალე დაამთავრებენ ახალი სათბურის მშენებლობას. ამ თვეში კრწანისის



აი, ეს სურათი ქალაქის ისტორიის შემსწავლელი წრის წევრთა მუშაობას გვაცნობს. ადგენენ ალბომს, რომელსაც ასეთი სახელწოდება მისცეს: „კარგია ჩვენი თბილისი, ხვალ უკეთესი იქნება!“ სურათზე სილუეტად მოჩანთბილისის ერთ-ერთი უძველესი ხიდის მაკეტზე მომუშავე პიონერის ხელები.

თამაზ გეგეჭკორს წიგნის გარეშე მოგზაურობა ვერ წარმოუდგენია.



# ჩვენ ვესწვიეთ პიონერებს!

მეურნეობას ჩააბარებენ კიტრისა და პამიდვრის პირველ მოსავალს. ნორჩი მეფუტკრეები ამრავლებენ ფუტკრის ახალ ოჯახებს. მევენახეებს განზრახული აქვთ პიონერულ ნაკვეთზე მოსული ყურძნიდან დაამზადონ და მეურნეობას ჩააბარონ ღვინის ახალი მარკა „პიონერული".

მართლაც ოჯახურადაა მოწყობილი სასახლის საოჯახო კაბინეტი. აქ გოგონები ეუფლებიან ჭრა-კერვას, ქსოვას, ქარგვას, სწავლობენ სადღლებისა და ნამცხვრების მზადებას.

—აი, ეს წინსაფრები დაკვეთით შეკერეს პიონერებმა, — მეუბნება კაბინეტის გამგე.

— დაკვეთით?

—დიახ. ჩვენს კაბინეტში წელს გავხსენით დაკვეთების სამკერვალო-ატელიე სკოლამდელთათვის, —მპასუხობს და მაწვდის შთაბეჭდილებების წიგნს, სადაც თბილისის 102-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლები მადლობას გამოთქვამენ პატარა მკერავებისადმი.

ნორჩი მკერავები ამზადებენ საკარნავალო კოსტუმებს.

ვეცნობი სასახლის სათამაშოების დამამზადებელი წრის წევრთა მუშაობის ახალ გეგმას. განზრახული აქვთ შექმნან სათამაშოების „კომბინატი", რომელიც მრავალი სახის სათამაშოს გაუგზავნის საჩუქრად სკოლამდელ ბავშვებს.

სასახლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შესვლისთანავე თვალში მოგხვდებათ კედლებზე გამოფენილი სურათები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წარსულსა და მომავალზე მეტყველებენ. იქვე ნახავთ დიდ სქემატურ რუკას, დღევანდელი ცხოვრების ამსახველ მაკეტებს, არქეოლოგიურ, გეოლოგიურ და მინერალურ კოლექციებს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ფოტოსურათებსა და ჩუქურთმების ასლებს. ყველაფერი ეს ნორჩ ხელოვნებათმცოდნეობის, ისტორიკოსების, არქეოლოგებისა და გეოლოგების მიერაა დამზადებული.

ეროვნული

სასახლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ნორჩ არქეოლოგთა და ეთნოგრაფთა სექციებში შევიტყე, რომ ზაფხულის არდადეგებზე ნორჩი არქეოლოგები მიიღებენ მონაწილეობას მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგების მიერ წარმოებულ გათხრებში (მცხეთასა და კარსანში), ხოლო მეორე ექსპედიცია გაემგზავრება ფშავ-ხევსურეთში, ხევსა და ჩრდილო კავკასიაში.

ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში ვეცნობი ნორჩი ტურისტების მუშაობას, თუ როგორ მოგზაურობენ ისინი საქართველოს მთაგორიან რაიონებში, როგორ აწყობენ ალპინისტურ და ტურისტულ გადასვლებს ზემო სვანეთსა და აფხაზეთის მთიან მხარეში.

უკანასკნელი ლაქშრობა ნორჩმა ტურისტებმა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში მოაწყეს ტაბახმელასა და ლელვთახევში, ზაფხულის სიცხიან დღეებში კი საქართველოს მთებს ეწვევიან.

კიდევ ბევრის, ბევრის თქმა შეიძლება სასახლის მუშაობაზე მაგრამ... სასახლეში ჩემი „მოგზაურობის" ერთი დღე დამთავრდა.

**ნაზი თარგამაძე**

ფოტო: დ. იაკობაშვილისა



მდინარის აჩქარებულმა ტალღებმა შეიძლება თვალი აგიჭრელოს... ამიტომ, თეიმურ ავალიანი ხახელდახელად გადებულ ხიდს არ ენდობა და მდინარეზე თოკის დაცვით გადადის.



— ნინო კარგი იქნებოდა მარტო გოგონები დარჩენილიყავით, სამზარეულოში მორიგეობა რა ჩემი საქმეა, —ეხუმრება გიგი მეგობრებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საკისარი

გოგი ლაბაძე

ნახატები **რ. ცუცქირიძისა**

მოთხრობა

ტრაქტორი ძველი იყო, რის ვაივაგლახით შემოთუხთუხდა ორღობეში და გაჩერდა. ბავშვები ჟივილ-ხივილით შემოეხვივნენ მანქანას.

— აბა, მოუსვით! — დაიყვირა ერთმა ტრაქტორისტმა და კაბინიდან ჩამოხტა.

— მოუსვით, ჩქარა! ერთიანად მაზუთში ამოსვრილს ჭაღარა თმები ბაკებთან შავად შეღებოდა.

— იყვნენ, რას გიშლიან, — გადმოვიდა მეორეც. ახალგაზრდა ბიჭი იყო. საულვაშეები შავ ღინღლს დაეფარა. დიდრონი, შუქიანი თვალები ჰქონდა და, როცა გაიცინებდა, საოცრად უბრწყინდებოდა და უწყლიანდებოდა.

ბავშვებმა მადლიერების გრძნობით შეხედეს მას.

— გააფუჭებენ რამეს, — თქვა ხნიერმა.

პატარები აჟივჟინდნენ.

— არა, ძია, არაფერს გავაფუჭებთ, რა!

—კარგი, — თქვა ახალგაზრდამ და მათკენ შემობრუნდა, — იყავით, ოღონდ იცოდეთ, მანქანას ჩხიკინი არ დაუწყოთ. საკმარისია რაიმე მოძვრეს, სულ უმნიშვნელო ნაწილიც კი, და გაფუჭდება, აღარ ამუშავდება. გაიგეთ? ჩვენ საჭმელს შევჭამთ და მალე მოვალთ.

— თქვენს მოსვლამდე, მანქანას მე ვუყურებ, — თქვა ერთმა. ეტყობოდა, პირდაპირ სუფრიდან გამოქცეულიყო. ხელში ყველი და ჭადი ეჭირა და მადიანად ილუკმებოდა.

— ძალიან კარგი იქნება.

ტრაქტორისტები წავიდნენ. ბავშვები ტრაქტორს შემოეხვივნენ და თვალიერება დაუწყეს. ჯერ გარედან უკირკიტებდნენ, მერე კაბინაში აცოცდნენ და საჭეს ცნობისმოყვარეობით დაუწყეს სინჯვა.

ზაზა მარტო დარჩა ქვემოთ. მას თვალი მოსტაცა პატარა ბურთულებიანმა საკისარმა, რომელიც უკან, ხელსაწყოთა ყუთზე მსხვილი მავთულით იყო მიმაგრებული. ჯერ შორიდან უთვალთვალებდა, მერე, როცა ბავშვები კაბინაში აცვივდნენ და თავი მარტო იგრძნო, ახლოს მივიდა და ხელით შეეხო.

ბურთულები ცივი იყო და ბრჭყვიალა. ხელზე სიმრგვალის სასიამოვნო შეგრძნებას ტოვებდა. ზაზამ საკისრის ზედა ნაწილი დაატრიალა და ბურთულებმა მსუბუქად იწყეს სრიალი ღერძის ირგვლივ. მერე მავთულს დახედა, რომლითაც საკისარი ყუთზე იყო მიბმული, და უცებ გაუელვა თავში:

„ რა იქნება, რომ მოვხსნა?“

ეს აზრი ჯერ სუსტი იყო და ნაკლებად მოქმედებდა. მერე კი თანდათან გაიზარდა, გაიზარდა და მთელ მის გონებას დაეპატრონა.

„არაფერი არ იქნება“, — გაეპასუხა თავისივე ფიქრებს, — იმ ბიჭმა იხუმრა, ალბათ. როგორ შეიძლება ტრაქტორი ამ პატარა საკისარმა გააჩეროს?“

მავთულს ფრთხილად შეახო ხელი და უცებ შეკრთა. მოეჩვენა, თითქოს კაბინაში მსხდომმა ბავშვებმა მისი ნაფიქრალი გაიგეს და ახლა სულგანაბულნი მას მისჩერებოდნენ. ხელი სწრაფად გაუშვა მავთულს და ყური მიუგდო. ზევით რაღაცაზე დავობდნენ.

— მამამ თქვა, — ამბობდა ერთი, — სპილო ტრაქტორზე ღონიერიაო.

— ტყუილი უთქვამს, — თქვა მეორემ.

— რატომ?

— იმიტომ! სპილო არ შეიძლება ტრაქტორზე ღონიერი იყოს.

— ერთი ამას უყურე, — გაბრაზდა პირველი, — შენ უფრო იცი თუ მამამ?!

„ჰო, რა თქმა უნდა, ტრაქტორი სპილოზე ღონიერი იქნება, — გაიფიქრა ზაზამ. — ეს პატარა საკისარი კი როგორ გააჩერებს სპილოზე ღონიერ ტრაქტორს?“

ხელი მოჰკიდა და მოხსნა დაუწყო. მავთული ჯერ ნებაზე მიჰყვა, მერე კი გაჯიუტდა და ძნელი გასახსნელი გახდა. ზაზამ ოფლი მოიწმინდა. საცაა ტრაქტორისტები დაბრუნდებიან. უნდა იჩქაროს. მერე კი... მერე ბედნიერი იქნება ზაზა. საკუთარი ბურთულებიანი საკისარი ექნება. რას არ გააკეთებს იმით.

ერთხელ დედამ ქუთაისში წაიყვანა და ზაზამ პირველად მაშინ დაინახა ასეთი საკისარი. პატარა ბიჭს ჰქონდა ფიცარზე გაკეთებული, თვითონ კი ზედ იჯდა და ოდნავ დაქანებულ ტროტუარზე ტრიხინ-ტრიხინით მიდიოდა. იმ ფიცარს სამი ასეთი ბურთულა საკისარი ჰქონდა. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? ზაზა ერთითაც მშვენიერ ურემს გააკეთებს... გააკეთებს და საკუთარი „მანქანა“ ეყოლება. ტყეში წავა, შეშას მოიტანს, სოკოს შეაგროვებს, პატარებს დასვამს. ვინ იცის, ყელგამოწევით ეხვეწებოდნენ: „დამსვი და მსხალს მოგიტან, ჩურჩხელებს მოგიტან, პატარა დანას გაჩუქებ...“

დაძაბული მუშაობისაგან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე.

„მთავარია ტრაქტორისტებმა არ მომისწრონ და მერე მე ვიცი, — გაიფიქრა მან, — აჰ, ნეტავ არ მომისწრებდნენ ტრაქტორისტები.“

ყარაულად დანიშნულმა ბიჭმა კაბინიდან თავი გამოჰყო და დაუძახა:

— ეი, შენ, ჭინჭრაქავ, რას აკეთებ მანდ?

ზაზა გაშრა. მოეჩვენა, თითქოს იმ ბიჭმა ყველაფერი დაინახა; აი, საცაა მანქანიდან ჩამოხტება და მიბერტყავს:

მაგრამ ბიჭი კაბინიდან არ გადმოდიოდა.

— არაფერს, — სწრაფად მოინაცვლა ადგილი ზაზამ.

— მანდ არაფერი გააფუჭო, თორემ ..

— არა, რა უნდა გავაფუჭო.

ზაზამ დაუცადა, როდის შეჰყოფდა ბიჭი თავს კაბინაში. მერე ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა.

„აჰ, ნეტა არ მომისწრებდნენ ტრაქტორისტები“, — ინატრა კვლავ.

ახლა უფრო სწრაფად მუშაობდა. დიდი წვალებით გახსნა მავთული. მაშინვე რომ არ შეემჩნიათ, გამოაძრო და ბურდისკენ მოისროლა. მერე საკისარი უბეში ჩაიდო და დაკუზულმა ღობისკენ დაიხია. ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა ირგვლივ—ემანდ, ხომ არავინ მიყურებს, ან ტრაქტორისტები ხომ არ მოდიანო, მერე იშვირა ფეხი, ღობეს გადაევლო და ვენახებში გაუჩინარდა.

ვენახის მწკრივებს შორის გაყვანილ წყლის საწრეტ არხში ჩაჯდა და საკისარი ამოიღო. ხალათის ბოლოთი გაწმინდა ბურთულები, მაზუთი მოაშორა. ბურთულები მზის სხივებზე სარკესავით აბრჭყვიალდნენ.

„უჰ, შენი ჭირიმე, რა კარგია!“ — სიხარულით ჩაიხუტა გულში. მერე უცებ რაღაც გაახსენდა და შეკრთა.

„ვაითუ მართლა არ ამუშავდეს ტრაქტორი!“

„არა, არა! — მაშინვე უარყო ეს აზრი, — იმ ტრაქტორისტმა იხუმრა, ალბათ, არ შეიძლება, არ ამუშავდეს“.

— ჰო, რა თქმა უნდა, იხუმრა, — თქვა მერე ხმამაღლა, — აბა, როგორ შეიძლება ასე პატარა საკისარმა გააჩეროს იმხელა ტრაქტორი?!

სულგანაბული იჯდა და უცდიდა, თუ როდის დაბრუნდებოდნენ ტრაქტორისტები. გულში თანდათან ეპარებოდა შიში.

„ვაითუ მართლა არ ამუშავდეს?“

გულაღმა წამოწვა და ცას ახედა. ცაზე ღრუბლები მიცურავდნენ.

„ამუშავდება, უსათუოდ ამუშავდება, — გაიფიქრა მან, — ტრაქტორი სპილოზე ღონიერია. ეს პატარა საკისარი ვერას დააკლებს სპილოზე ღონიერ ტრაქტორს“.

აკაციის ტოტზე ჩიტი შემოჯდა.

— ჭიკ, ჭიკ, ჭიკ! — დამარცვლით დაიწყო მან.

ზაზა შიშმა აიტანა.

„ნეტა სად არიან ამდენ ხანს?“ — გაიფიქრა მან. მერე ქვა აიღო და ჩიტს ესროლა. ჩიტმა ერთხელ კიდევ დაიძახა და გაფრინდა.

ზაზას მოეჩვენა, თითქოს ტრაქტორისტები უკვე დიდი ხნის მოსულები იყვნენ, დიდი ხანია წვალობდნენ, მაგრამ ტრაქტორი მაინც არ იღებდა ხმას. ტანში დაბურძგლა. ფრთხილად წამოდგა და დააყურა. ბავშვების ყიჟინა ისმოდა მხოლოდ.

— ზზზ... ზზზზზ... ზზზ... — იძახდა ვიღაცა. ალბათ საჭეზე თუ ეკიდა ხელი.



„არავინ არ მოსულა, — გაიფიქრა მან, — ტყუილად ვიხეთქავ გულს“. მაგრამ რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო ეუფლებოდა მოუსვენრობა:

„ერთიც ვნახოთ და, არ ამუშავდეს?“

უცებ ტრაქტორისტების მხიარულ ლაპარაკს მოჰკრა ყური და სული გახაბა, გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო, ერთიანად დაიჭიმა და შეიკუმშა. ფოლადის ზამბარას დაემსგავსა. დრო ნელ-ნელა მიდიოდა. დაძაბულობისაგან ოფლი მოუვიდა სახეზე.

„ამუშავდება — არ ამუშავდება“,
„ამუშავდება — არ ამუშავდება“,
„ამუშავდება — არ ამუშავდება“,
„ამუშავდება...“

ტრაქტორის გაბმული გუგუნი გაისმა.

— ტრამ-ტა-ტა-ტაჰ! ტა-ტა-ტააახ! ტა-ტა-ტაჰ!..

ზაზას გულზე მოეშვა, თავისუფლად ამოისუნთქა და მხოლოდ ახლა იგრძნო, დაძაბულობისაგან როგორ დაღლოდა მთელი სხეული.

მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ტრაქტორმა ერთი კიდევ ამოიხროტინა და დადუმდა. დროდადრო ისევ ამოიღებდა ხმას, მაგრამ მაშინვე ჩუმდებოდა.

„არ მუშაობს. ალბათ, მალე გაიგებენ, რომ ბურთულა-საკისარი აკლია და ძებნას დამიწყებენ“.

სწრაფად წამოდგა ფეხზე. თავში ყველაფერი აერია და დაუტრიალდა. მახეში გაბმული ჩიტივით აქეთ-იქით აწყდებოდა. მუხლები უკანკალებდა. მერე ნელ-ნელა დამშვიდდა.

„რატომ მაინცდამაინც მე უნდა დამაბრალონ? იქ ბავშვების მეტი რა არის?“ — გაუელვა თავში. ამ აზრმა გასჭრა. ოდნავ დაწყნარდა.

„საიდან გაიგებენ, რომ მე ავიღე? — გაიფიქრა კიდევ უფრო მტკიცედ, — ვერაფერსაც ვერ გაიგებენ“. მაგრამ მერე მიხვდა, რომ ამით თავს იტყუებდა, რომ შეუძლებელი იყო ვერ გაეგოთ.

„ძაღლს მოიყვანენ... დიდ ძაღლს...“

თრთოლვამ აიტანა. ბევრი რამ გაეგონა ამის შესახებ. ძაღლები უტყუვრად პოულობდნენ ყველაფერს, ჯაშუშებს, ქურდებს, ბანდიტებს... მერე შარშან ნახული კინოც გაახსენდა — „შემთხვევა საზღვარზე“. თვალწინ წარმოუდგა ვეება, პირდაბჩენილი ნაგაზი, ტანსაცმელი რომ ერთიანად შემოაგლიჯა ჯაშუშს, და მთელ სხეულში შიშის სიცივე იგრძნო.

„ძაღლი ყველაფერს გაიგებს, — გაუელვა თავში, — შეუძლებელია, ძაღლმა ვერ გაიგოს“.

რა ქნას? დატოვოს საკისარი და გაიქცეს? არა, არა. ეს სულერთია. როცა იპოვნიან, ძებნას მაინც არ შეწყვეტენ. მთავარია, ქურდი აღმოაჩინონ.

„ქურდი“...

ზაზა ლამის აატირა ამ სიტყვებმა. ყველანი გაიგებენ, რომ ის ქურდია,

მთელი სკოლა გაიგებს, ამხანაგები, მეზობლები...

ყველაზე უფრო კი დედის ეშინია ზაზას, დედა ავად ჰყავს და როცა გაიგებს, რომ მისი შვილი ქურდია, გული გაუსკდება და მოკვდება...

ზაზამ საკისარი ისევ უბეში ჩაიდო და ფორთხვით წავიდა იქითკენ, სადაც ტრაქტორი იდგა.

მაინც რა სისულელე ჩაიდინა, რომ აიღო! როგორ შეიძლება ტრაქტორისტს ეხუმრა. ის ბიჭიც მართალს ამბობდა, ტრაქტორი სპილოზე ღონიერი არ არის".

„ჰო, რა თქმა უნდა, ტრაქტორი ვერ იქნება სპილოზე ღონიერი".

თხრილს ფრთხილად გადაახტა და გაბურდულ ღობეს გაჰყვა.

„არ უნდა ამეღო, არ უნდა მომეპარა საკისარი..."

„ჰო, დედას აუცილებლად გაუსკდება გული და მოკვდება"...

გულისკანკალით მიფორთხავდა. მერე ტრაქტორს მიუახლოვდა და გაჩერდა. იმის იქით წასვლა არ შეიძლებოდა, იმის იქით მესერი იწყებოდა და ადვილად დაინახავდნენ.

ტრაქტორისტები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. მესერთან ახლოს მიიწია და ყური მიუგდო.

— არაფერი არ გამოდის, — თქვა ხნიერმა ტრაქტორისტმა. — წადი და მოიყვანე, თვითონ იმტვრიოს თავი ზედ

— აბა, ერთხელ კიდევ ვცადოთ, — მოტორს მიუბრუნდა ახალგაზრდა, — იქნება ამუშავდეს.

— არა, ძმაო, — მაზუთით გათხუპნული ხელები შარვალზე შეიმშრალა ხნიერმა, — მკვდრის გაცოცხლება მე არ შემიძლია.

— კარგი, მაშინ წავალ.

ზაზას ტანში დაბურძგლა. ყველაფერი დღესავით ნათელი იყო. რა უნდა ექნა? უცებ რაღაც მოისაზრა და ხელი პურდში შეჰყო. ეკლებმა თითები დაუჩხვლიტეს, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. საგრძნობლად მისწი-მოსწია ეკალ-ბარდები და პატარა ხვრელი გააკეთა. მერე შიგ შეძვრა. მეორე მხარეს გაიჭვრიტა და დაინახა, ტრაქტორისტები ხელსაწყოთა ყუთში რაღაცას ეძებდნენ. ზაზა ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ მის მიერ მოპარული საკისრის გამო არ მუშაობდა ტრაქტორი.

„უნდა მივაწვდინო როგორმე, — გაიფიქრა მან, — სულ ათი ნაბიჯი თუ იქნება. მაგრად გავაგორებ და მივაწვდენ".

საკისარი უბიდან ამოიღო და მიწაზე დადო. მერე იმის შიშით, რომ შეიძლება მართლაც ვერ მიეწვდინა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელი ჰკრა.

საკისარი სწრაფად გაგორდა და ხნიერ ტრაქტორისტს ფეხზე მოხვდა. ზაზა მაშინვე გამოძვრა ღობიდან და უკან მიუხედავად მოჰკურცხლა.

— ბიჭოს! — წამოიძახა ხნიერმა ტრაქტორისტმა და ფეხებთან დაგდებული საკისარი ხელში აიღო, — ეს საიდან გაჩნდა.

ახალგაზრდამ იქითკენ გაიხედა, საიდანაც საკისარი დაგორდა და როცა შერხეული ეკლის ბარდები დაინახა, გაეღიმა.

— ღმერთმა გამოგვიგზავნა, — თქვა მან სიცილით.

ხნიერი ბავშვებისაკენ შებრუნდა.

— დღევანდელი კარგი ყარაულობისათვის ჯილდოდ მომიცია თქვენთვის. წაიღეთ!

— არა, არა, რას ამბობ, — ჩაერია ახალგაზრდა, — მოიტა აქ. როგორ შეიძლება. ტრაქტორს სულ პატარა ნაწილიც რომ დააკლდეს, გაფუჭდება და აღარ ამუშავდება. ეს კი არც ისე პატარაა.

ხნიერ ტრაქტორისტს გულკეთილად გაეღიმა. ბავშვებმა კი უმადურად გადახედეს ახალგაზრდას.

„მშვენიერი ბიჭია, — ფიქრობდნენ ისინი, — საულვაშეები შავი ღინღლით აქვს დაფარული. როცა გაიცინებს, დიდრონი შუქიანი თვალები საოცრად უბრწყინდება და უწყლიანდება. წეღან მისი მეოხებით დარჩნენ ტრაქტორზე. ახლა კი რა დაემართა? რატომ არ მისცა მათ საკისარი?

რ ა ტ ო მ?".





ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათი სასახელო საქმეები

ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის სკოლის პიონერებს შეუძლიათ სიამაყით თქვან, რომ მათ პირნათლად შეასრულეს პიონერული ორწლედის ვალდებულება, ამ სკოლის პიონერულ მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერება, რომ პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავის აღსანიშნავად მათ მეთევზეობის მეურნეობა შექმნეს. გასჭრეს დიდი სატევზე ტბორი, გამოზარდეს 2000 ლიფსიტა და პირველსავე «მოსავალზე» სამშობლოს მისცემენ ორ ტონამდე თევზს.

—

ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის შვიდწლიანი სკოლის პიონერები ფეფიკო გეწაძე და გიორგი ქულუხიძე სისტემატურად მუშაობდნენ სანერგე მეურნეობაში. ისინი უფროსებს ეხმარებოდნენ თუთისა და კაკლის ნერგების გამოყვანაში, დაამყნეს 600 ძირი საუკეთესო ჯიშის ვაზი. ამ ვაზებით ნორჩმა ლენინელებმა შეავსეს თავიანთი კოლმეურნეობის მეჩხერი ვენახები.

—

ჭიათურის პირველ სკოლაში არის ოთახი, რომლის კარებსაც განსაკუთრებული სიყვარულით აღებენ ბავშვები. ეს ოთახი მუზეუმივით მყუდრო, მდიდარი და საინტერესოა. შესავალში დიდი ლენინის პორტრეტი ღიმილით უცქერის პატარებს.

«ვ. ი. ლენინის წინასწარდასახულება და ჩვენი ქალაქი ჭიათურა» — ასე დაასათაურეს პიონერებმა ლენინის ოთახის ერთი მოზრდილი კუთხე.

ბონჩ-ბრუევიჩი იგონებს: «როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა კავკასიის შესახებ, ვ. ი. ლენინი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მარგანეცის დამუშავებას ჭიათურაში, უწინასწარმეტყველებდა მას დიდ მომავალს». ეს სიტყვები პიონერებმა ლამაზად გადაწერეს და ლენინის ოთახის კედელზე გააკრეს.

ხელმარჯვნივ, ოთხგზის ორდენოსანი მაღაროელის, პავლე მიროტაძის პორტრეტი მოათავსეს.

პავლე მიროტაძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ლენინის წინასწარდასახულებას ხორცი შეასხა. მას მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იმაზე მეტი მარგანეცი ამოუღია, რამდენიც ამოღებული იქნა მთელ ჭიათურაში მენშევიკური ხელისუფლების წლებში.

აქვე, პიონერებმა ერთმანეთს დაუპირისპირეს რევოლუციამდელი ჭიათურაში მარგანეცის პრიმიტული ხერხით მოპოვების ამსახველი ნახატები და ის ფოტოები, რომლებიც ასახავენ მარგანეცის დღევანდელ, მექანიზებულ ამოღებას.

ვ. ი. ლენინის ოთახში, პიონერების ხელით შედგენილი, ერთი საინტერესო რუკაც არის გამოფენილი. ამ რუკაზე აღნიშნულია ახალი მშენებლობები: ფართოლიანდაგიანი რკინიგზა და გზატკეცილები, ახალი მუშათა დასახლებები. წითელი ვარსკვლავებით აღნიშნულია ის ადგილები, სადაც საბაგირო გზის სადგურები და ახალი ფაბრიკები შენდება.

ვ. ი. ლენინის ოთახი ნათლად ასახავს დიდი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მისი იდეებისა და აზრების უკვდავებას.

—

გინდათ იცოდეთ, რამდენი პიონერია გურჯაანში? მაშ, ეწვიეთ ამ ქალაქს, ადით კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში და გადათვალეთ წითელი ვარდის ბუჩქები.

პიონერული ორწლედის დღეებში გურჯაანში არ დარჩენილა პიონერი, რომელსაც არ მოეტანოს ამ პარკში ვარდის ბუჩქი და არ დაერგოს. პიონერების იუბილის აღსანიშნავად კარგი ტრადიცია დარჩებათ გურჯაანელ პიონერებს: ყოველ გაზაფხულზე მათთან გაიმართება «ვარდობა».

კარგი შინაარსი აქვს «ვარდობას» — ყველა ბავშვმა ვარდობის აღსანიშნავად უნდა დარგოს ვარდის ბუჩქი სკოლის ეზოში, პარკში თუ სამანქანო გზის გასწვრივ.

—

მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის სკოლაში ბუნების დამცველთა «მწვანე საგუშაგო» მუშაობს. საგუშაგოს წევრები ტყეს გაჩანაგებისაგან იცავენ, მშობლიური სოფლის გზატკეცილებს ამწვანებენ, გამოჰყავთ საუკეთესო ნამყენი ხეხილი.

მუხრანელმა პიონერებმა 400 კურდღელი გამოზარდეს. აქედან ასი კურდღელი ტყეში გაუშვეს. «დე, იქაც გამრავლდეს კურდღელი, ტყეც სოფლისაა!» — ამბობენ ბუნების ნორჩი ქომაგები.

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის, 91 ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 05307 ტირ. 28.000. ქაღ. ფორ. რაოდ. 4 1/2, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 27/IV-62 წ.
სტამბის შეკვ. 728. გამომც. შეკვ. 126. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის მკ «კომუნისტი».
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი



**ვერტიკალურად:** 1. პიონერული ატრიბუტი; 2. ისრების ბუდე: 3. ისტორიული ბრძოლის ადგილი საქართველოში; 4. სახელმწიფო ევროპაში: 7. ცნობილი რუსი საბავშვო მწერალი: 8. კითხვითი ნაწილაკი: 9. მუსიკალური ბგერა: 10. სოფელი შავი ზღვის პირას: 11. საერთაშორისო პიონერთა ბანაკი: 12. შორისდებული; 13. პიონერული ატრიბუტი: 14. ქართული მითოლოგიური გმირი: 16. მდინარე საქართველოში: 17. ცნობილი გერმანელი ფიზიკოსი: 18. ყვავილი.

**ჰორიზონტალურად:** 3. ი. ტურგენევის მოთხრობა: 5. დიდი ქართველი მწერლის სახელი: 6. სიგრძის ძველი საზომი საქართველოში: 7. ქალაქი საქართველოში: 9. ჭურჭელი: 11. მუსიკალური ინსტრუმენტი: 13. სამშენებლო მასალა: 15. ზღაპრული არსება: 19. ყვავილი: 20. ინდონეზიის კუნძული: 21. შინაური ფრინველი.

შეადგინა **გ. მერებაშვილმა.**

## ება, სცადე!

| | |
|---|---|
| ცისფერი მნათობი<br>________ . | ნამცხვარი<br>. ________ . |
| ყვავილი<br>________ . . | სათვალე ნივთი<br>. ________ . |

თქვენს წინაშეა ოთხი სწორკუთხედი. ყოველ მათგანში მოთავსებულია კითხვა, სწორი ხაზი და თითოოროლა წერტილი. საჭიროა, სწორკუთხედებში მოთავსებულ კითხვებს გასცეთ პასუხი, ჩაწეროთ იგი და შემდეგ, რამდენი წერტილიც არის დასმული სწორი ხაზების თავსა და ბოლოში, იმდენი ასო მოაკლოთ ნაპოვნ სიტყვებს. თუ თქვენ ამას სწორად გააკეთებთ, მიიღებთ პასუხს პიონერულ მოწოდებაზე.

ვ. თავართქილაძე

## შარადები

1

ზმნას ორიც კი აქვს, ან სამი,
შენ კი ერთი გაქვს მხოლოდ,
თუ მიხვდი, უნდა მოაკლო
სიტყვას მარცვალი ბოლოს.
ქალაქი არის რაჭაში,
თანხმოვანი აქვს ერთი,
იმისი ბოლო ხმოვანი
ზედმეტი არის ჩვენთვის.
სინონიმია ლამაზის,
ფიქრი არ გინდა დიდხანს,
თავიდან ორი მარცვალი
ჩამოაცილე სიტყვას.
შეკრიბე ახლა სამივე,
ლექსში ჩამოთვლილ რიგით
და საამაყო სახელად
გადაიქცევა იგი.

2

ორ მუსიკალურ ბგერას
ხმოვანს დაურთავ წინა,
რასაც მიიღებ, გაშლი
და ალისფერად ბრწყინავს.

**შ. ამირანაშვილი**

# პასუხები

### კროსვორდი

**ვერტიკალურად:** 1. „გოგჩა": 2. ლობიო: 3. ხახვი. 5. არაკი: 6. ანძა; 9. „ისკრა": 11. მახრა; 14. ტატრა: 15. ატამი: 17. ისარი; 18. პაგა; 22. ხარი.

**ჰორიზონტალურად:** 3. ხანოი; 4. კობრა; 7. ჩანგი; 8. შვრია; 10. ომსკი: 12. აკრი: 13. მეხი; 16. კასაი: 18. პაიტი; 19. სირია; 20. აგარა; 21. აგური.

### ამოცანა

ვალიკოს 56 ცალი კაკალი აქვს. პალიკოს — 40.

### გამოცანები

1. დოლი: 2. ლოკოკინა.

### ხალხური გამოცანები

1. ჩრდილი: 2. ჯაგრისი: 3. ქუდი; 4. სოკო: 5. წვივი; 6. გოგრა; 7. კარტოფილი.

**ფანქრის ერთი მოსმით**

ფიგურა ფანქრის ერთი მოსმით შემოიხაზება ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.



63/168

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნახატი— ხუმრობები

ელ. ამბოკაძისა







148
1962/6

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

6 ივნისი 1962